

ფინალური გამოცდა

ვარიანტი 1

ფაკულტეტი: იურიდიული

საგანი: სისხლის სამართალი კერძო 1 (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ)

პედაგოგის გვარი, სახელი: ივანიძე მაია

გამოცდის შეფასება: 40 ქულა - თითო თეორიული საკითხი - 15-15 ქულა, კაზუსი 10 ქულა

გამოცდის ხანგრძლივობა: 3 საათი

სტუდენტი კაზუსის ამოხსნისას იყენებს სისხლის სამართლის კოდექსს

1. თეორიული საკითხი: დაახასიათეთ დანაშაული სქესობრივი თავისუფლების წინააღმდეგ.
2. თეორიული საკითხი: ტრეფიკინგი (143¹ - ადამიანით ვაჭრობა).

კაზუსი:

ზამთრის ერთ სუსხიან დილას სამი მე-8 კლასელი მეგობარი გიორგი, ნიკა და მერაბი სკოლის ეზოში გუნდაობდნენ. გუნდაობის დროს გიორგიმ და ნიკამ მერაბს დაუწყეს გუნდების სროლა. მერაბი წაიქცა, გიორგიმ და ნიკამ კი თოვლში ქვები ჩადეს და კვლავ მერაბს ესროდნენ. მიუხედავად იმისა, რომ მერაბს თავიდან და ცხვირიდან სისხლი სდიოდა ისინი კვლავ აგრძელებდნენ გუნდების სროლას. გუნდაობის შემდეგ მერაბმა დამოუკიდებლად ადგომა ვერ შეძლო, საავადმყოფოში მიყვანისთანავე კი გაირკვა, რომ მან ჯამრთელობის მძიმე დაზიანება მიიღო.

შეაფასეთ, არასრულწლოვანი გიორგის და ნიკას ქმედების საზოგადოებრივად საშიში ხასიათი და მიეცით მომხდარს შესაბამისი შეფასება.

ფინალური გამოცდა

ვარიანტი 2

ფაკულტეტი: იურიდიული

საგანი: სისხლის სამართალი კერძო 1 (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ)

პედაგოგის გვარი, სახელი: ივანიძე მაია

გამოცდის შეფასება: 40 ქულა - თითო თეორიული საკითხი - 15-15 ქულა, კაზუსი 10 ქულა

გამოცდის ხანგრძლივობა: 3 საათი

1. თეორიული საკითხი: გამოიყენეთ თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება. (სსკ-ის 143-ე და 144 -ე მუხლები).
2. დაახასიათეთ სსკ-ს 126¹-ე მუხლი ოჯახში ძალადობა.

კაზუსი

გვიან ღამით სახლში მიმავალ ვიქტორ ქირიას მიუახლოვდა ნიღაჩამოფარებული ბიჭი იარაღით ხელში, რომელიც სინამდვილეში მისი მეზობელი გიორგი გოლიაძე იყო და მხოლოდ მისი შეშინება უნდოდა. ქირიამ შეამჩნია რა გოლიაძე, თავდამსხმელი ეგონა და თავის დაცვის მიზნით ჯიბიდან ამოიღო დანა და გულმკერდის არეში დაარტყა. გოლიაძე ადგილზევე გარდაიცვალა.

მიეცით მომხდარს სამართლებრივი შეფასება.

ფინალური გამოცდა

ვარიანტი 3

ფაკულტეტი: იურიდიული

საგანი: სისხლის სამართალი კერძო 1 (დანაშაული ადამიანის წამადმდეუქ)

პედაგოგის გვარი, სახელი: ივანიშვილი მაია

გამოცდის შეფასება: 40 ქულა - თითო თეორიული საკითხი - 15-18 ქულა, კაზუსი 10 ქულა.
გამოცდის ხანგრძლივობა: 3 საათი

1. თეორიული საკითხი: დაახასიათეთ წამება და არაადამიანური მოპყრობა.
2. თეორიული საკითხი: შიდსის შეყრა. (სსკ-ს 131-ე მუხლი).

კაზუსი

გორის რაიონის სოფელ არცეში მცხოვრებმა ზურაბ იმასაიძემ ამავე სოფელში სტუმრად მყოფი თამარ ბარნაბიშვილი გაიცნო. იგი შეუყვარდა და სთხოვა ცოლად გაჰყოლოდა, რაზეც ამ უკანასკნელისაგან უარყოფითი პასუხი მიიღო. ზურაბ ცოლად მოყვანის მიზნით განიზრახა გაეტაცებინა თამარ ბარნაბიშვილი. თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ვია ცხოველიძეს, თამაზ ნატროშვილს, დავით ძამაძისა და თამაზ მოდებაძეს, რაზედაც მათ თანხმობა განაცხადეს.

2012 წლის 26 ივლისს აღნიშნულ პირთა ჯგუფი დავით ძამაძის კუთვნილი ავტომანქანით ვაზ.2106-ით დაახლოებით 16 საათზე, სოფელ არცეს მესასვლეულში მდებარე ხის გადამამუშავებელ საამქროსთან დაუდარაჯდა თამარ ბარნაბიშვილს, რომელიც მითითებულ დროის მონაკვეთში ზიდაშვილთან-წინო ბარნაბიშვილთან და მეზობლად მცხოვრებ ვიორგი ქერდიყოშვილთან ერთად წავიდა სოფლის ახლოს მდებარე ტბაზე საბანაოდ. დაინახეს რა გზად მიმავალი თამარ ბარნაბიშვილი, აღნიშნულ პირთა ჯგუფმა ეს უკანასკნელი ძალის გამოყენებით ჩასვა დავით ძამაძის კუთვნილი ავტომანქანის უკანა სალონში, რითაც თამარ ბარნაბიშვილს უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და იგი გადაიყვანეს ახალგორის რაიონის სოფელ ჩიტყანში. შემდგომ 27 ივლისს 11 საათამდე გაგრძელდა თამარ ბარნაბიშვილის თავისუფლების უკანონო აღკვეთაში ყოფნა, რა დროსაც დაზარალებული მოკლებული იყო თავისუფალი გადაადგილებისა და მოქმედების საშუალებას.

2012 წლის 28 ივლისს დაახლოებით 13 საათისთვის თამარ ბარნაბიშვილი დაბრუნებული იქნა გორის რაიონის სოფელ არცეში მდებარე თავის საგარეკე ბინაზე, მიეცით მომხდარს შეფასება.

ფინალური გამოცდა

ვარიანტი 4

ფაკულტეტი: იურიდიული

საგანი: სისხლის სამართალი კერძო 1 (დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ)

პედაგოგის გვარი, სახელი: ივანიძე მაია

გამოცდის შეფასება: 40 ქულა - თითო თეორიული საკითხი - 15-15 ქულა, კაზუსი 10 ქულა

გამოცდის ხანგრძლივობა: 3 საათი

1. თეორიული საკითხი: დაახასიათეთ ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები.
2. თეორიული საკითხი: მუქარა და იძულება. (სსკ-ის 150-ე და 151-ე მუხლები).
კაზუსი

საქართველოს მოქალაქე მარეხ ალავიძემ, ქ. ქუთაისში თავის ნაცნობ, ლეოლა წიწხაძის მეშვეობით თამარ მონიავა გაიცნო, რომელსაც შესთავაზა თურქეთში, თოჯინების საამქროში სამუშაოდ წასვლა, თვეში კი 300-500 დოლარს გადაუხდოდა. აღნიშნულ შემთავაზებას თ. მონიავა დათანხმდა და იგი თურქეთის რესპუბლიკაში, ჯერძოდ, ქალაქ ნევეშერში გაემგზავრა. მას ავტოსადგურში მ. ალავიძე და მისი მეუღლე შევლოდ ქისა დახვდა, რომელმაც დაახლოებით 2-3 დღის შემდეგ, თ. მონიავა 1000 აშშ დოლარად თურქი ეროვნების მამაკაცს-ნეჯატს მიჰყიდა, რომელიც ერთი კვირის განმავლობაში თ. მონიავაზე ფიზიკურ ექსპლუატაციას ახორციელებდა.

ვიზის მოქმედების ვადის გასვლის გამო თ. მონიავა საქართველოში დაბრუნდა.

შეარჩიეთ შესაბამისი სისხლის სამართლის ნორმა და იმსჯელეთ მომხდარის შესახებ.

ფინალური გამოცდა

1. მკვლელობის ცნება, ზოგადი დახასიათება და სახეები

ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-3 და საქართველოს კონსტიტუციის მე-15 მუხლით განმტკიცებულია ადამიანის უფლება სიცოცხლეზე, რომელიც უმაღლესი ღირებულებაა და სსკ კერძო ნაწილი სწორედ სიცოცხლის დაცვით იხსნება. *ადამიანის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს წარმოადგენს სსკ-ით გათვალისწინებულ ნორმათა ერთობლიობა, რომელიც მიმართულია ადამიანის ძირითადი უფლებისა და თავისუფლების წინააღმდეგ.* დანაშაულის გვარეობითი ობიექტია ადამიანი. ამ კარში გათვალისწინებული დანაშაულებიდან ყველაზე მძიმეა სიცოცხლის მოსპობა. კანონმდებელი ადამიანის სიცოცხლეს დაბადებიდან გარდაცვალებამდე იცავს, ამიტომ პირველ *ფაქტობრივ* წინაპირობად უნდა განისაზღვროს, რომ ხელყოფა მიმართული იყო დაბადებულ ადამიანზე. ადამიანის სიცოცხლის დასაწყისად ითვლება მისი დაბადების პროცესი, ამიტომ ბავშვის სიცოცხლე მკვლელობის ობიექტი შეიძლება იყოს მშობიარობის დაწყებიდან. აბორტი მკვლელობად არ ითვლება. მეორე *ფაქტობრივი* წინაპირობაა მისი სიკვდილის მომენტის დადგენა, რომლის შედეგაც ადამიანის სიცოცხლე ობიექტურად აღარ არსებობს. ტექნიკური წინსვლის შედეგად ბიოლოგიური სიკვდილი მიიჩნევა დროში გაწევილ პროცესად და მასში იგულისხმება თავის ტვინის ფუნქციონირების შეწყვეტა.

ფაქტობრივი წინაპირობების გარდა ქმედების ადამიანის სიცოცხლის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულად ცნობისთვის აუცილებელია *იურიდიულ* წინაპირობათა არსებობაც. ძალადობრივი გზით სიკვდილს შეიძლება მართლზომიერი ხასიათი ჰქონდეს. საქართველოს კანონმდებლობაში მკვლელობის დისპოზიცია მარტივია და მასში არ არის აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები, სს თეორიასა და პრაქტიკაში კი მკვლელობა განმარტებულია, როგორც *სხვისთვის მართლსაწინააღმდეგოდ და განზრახ სიცოცხლის მოსპობა*. ამიტომ თვითმკვლელობა არ არის დასჯადი. მკვლელობის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება განხორციელდეს როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობითაც, ფიზიკური ან ფსიქიკური ზემოქმედებით, მკვლელობის სახეებს ასევე წარმოადგენს პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა და გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება. მკვლელობის ხერხის დადგენა კვალიფიკაციისთვისაც მნიშვნელოვანია, რათა ზოგ შემთხვევაში მოხდეს ბრალის დამძიმება. უმოქმედობითაა ჩადენილი მკვლელობა, თუ დამნაშავე არ ასრულებს მისთვის სამართლებრივად სავალდებულო მოქმედებას და რის შედეგადაც დადგა ადამიანის სიკვდილი. ყველა სახის მკვლელობა მატერიალური და შედეგიანია, ამიტომ აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის. მკვლელობისა და სიცოცხლის მოსპობის ამსრულებელია კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული პირი.

2. განზრახი მკვლელობა (მ. 108)

სსკ 108-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას განზრახი მკვლელობისთვის და ამ სახის დანაშაულის ძირითად შემადგენლობას წარმოადგენს. მას ხშირად მარტივ მკვლელობასაც უწოდებენ, რადგან ეს მკვლელობა არ გულისხმობს დამამძიმებელი ან შემამსუბუქებელი გარემოებების არსებობას. მუხლი არ მოიცავს მკვლელობის ობიექტური შემადგენლობის ნიშნებს, ამიტომ იმის განსასაზღვრავად, თუ რა შემთხვევაში გამოიყენება ეს მუხლი, უნდა გამოირიცხოს როგორც მკვლელობის დამამძიმებელი, ისე შემამსუბუქებელი გარემოებები. ობიექტური წინაპირობების სახით, უნდა არსებობდეს დამდგარი შედეგი და მიზეზობრივი კავშირი ქმედებასა და შედეგს შორის, სუბიექტური წინაპირობა კი მდგომარეობს განზრახვაში, მისი პირდაპირი ან არაპირდაპირი სახით. ამ სახის მკვლელობის ყველაზე ტიპური შემთხვევებია მკვლელობა ჩადენილი *ექვანიობის, შურისძიების, ურთიერთშელაპარაკების, შურის* და სხვა პირად საფუძველზე. ყველა იმ შემთხვევაში, როცა შეუძლებელია მკვლელობის მოტივის დადგენა, არ არსებობს ხარვეზის შევსების საშუალება და გამოირიცხულია დამამძიმებელი გარემოების არსებობა, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 108-ე მუხლით. ასეთ მკვლელობას უმოტივოსაც უწოდებენ, თუმცა ეს არ გულისხმობს მოტივის არარსებობას. ამავე მუხლით კვალიფიცირდება დაზარალებულის თანხმობით ან ურთიერთშეთანხმებით ჩადენილი მკვლელობაც, რადგან თანხმობას იურიდიული მნიშვნელობა არ აქვს.

ექვანიობა გულისხმობს ნორმალურ და არა პათოლოგიურ (პარანოიულ) *ექვანიობას*, ის შეიძლება წარმოქმნილი იყოს როგორც ობიექტურად არსებული, ისე მოჩვენებითი ფაქტებით. მისი წარმოქმნის საფუძველია პირის ერთგულებასა თუ სიყვარულში დაექვება. *ექვანიობა* შეიძლება გადაიზარდოს *შურისძიებაში*, რომელიც შეიძლება გამოწვეულ იქნას უამრავი ცხოვრებისეული გარემოების შედეგად. ამ მუხლით უნდა დაკვალიფიცირდეს მკვლელობა, თუ გამოირიცხება რასობრივი, ეროვნული და ეთნიკური ნიშნით, ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით *შურისძიება*, რაც დანაშაულის დამამძიმებელი გარემოებაა. *ურთიერთშელაპარაკებისას*, ანუ ჩხუბში ჩადენილად მკვლელობის კვალიფიკაციისთვის უნდა გამოირიცხოს მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები, აგრეთვე აფექტი, გაუფრთხილებლობა და აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება. აუცილებელია, დადგინდეს მოტივი, რაც მას გამიჯნავს ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილი მკვლელობისგან. ამ მუხლით არ კვალიფიცირდება ჯანმრთელობის მძიმე ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, რომელიც შედეგად იწვევს დაზარალებულის სიკვდილს, რადგან სახეზე გვაქვს ბრალის ორმაგი ფორმა - განზრახვა ჯანმრთელობის დაზიანების მიმართ და გაუფრთხილებლობა სიკვდილის მიმართ, რაც გამოირიცხავს განზრახ მკვლელობას.

3. მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109 I & II)

სსკ 109-ე მუხლით გათვალისწინებული მკვლელობა მის ყველაზე საშიშ სახეს წარმოადგენს და მისი შემადგენელი 14 პუნქტიდან ერთის ჩადენაც საკმარისია ქმედების დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილად კვალიფიკაციისთვის. თუ არსებობს ორი ან მეტი დამამძიმებელი გარემოება, ქმედება კვალიფიცირდება ყველა პუნქტით. 109-ე მუხლი შეიცავს სამ ნაწილს, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდებიან სოციალური საშიშროებით და მათთვის დადგენილი სანქციებით, თუმცა დაყოფის ობიექტური კრიტერიუმი არ არსებობს.

ნაწილი 1. ა) მკვლელობა მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით გულისხმობს მსხვერპლისთვის წინასწარ, მისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებით თავისუფლების აღკვეთას, შესაბამისად ეს პუნქტი ყოველთვის დანაშაულთა ერთობლიობას გულისხმობს და კვალიფიცირდება დამატებით 144 ან 324 მუხლით, იმის მიხედვით, თუ რა მიზნით იყო მძევალი აყვანილი. მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც მძევლად აყვანილი, ისე სხვა პირიც (სამართალდამცავი მუშაკი).

ბ) მკვლელობა ისეთი საშუალებით, რომელიც განზრახ უქმნის საფრთხეს სხვათა სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას. ამ ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისას აუცილებელია დადგინდეს მკვლელობის ჩადენის საშუალების საყოველთაო საშიშროება, რაც განისაზღვრება თავად ამ საშუალების გამოყენების საშიშროების ხასიათთან. კონკრეტულ შემთხვევაში გამოყენებული საშუალება უნდა ქმნიდეს საყოველთაო საშიშროებას. დამნაშავეს წინასწარ უნდა ჰქონდეს შეცნობილი, რომ იგი კლავს ადამიანს ისეთი საშუალებით, რომელიც დაზარალებულის გარდა საფრთხეს სხვა ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას უქმნის. ქმედების ამ პუნქტით კვალიფიკაციისთვის შედეგის დადგომა არ არის სავალდებულო, რადგან მაკვალიფიცირებელ ნიშანს თავად ხერხი წარმოადგენს. თუ რეალურად სახეზეა სხვა ადამიანის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა - კიდევ ერთი დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაცია (ორი ან მეტი პირის მკვლელობა). ასეთი მკვლელობა შეიძლება ჩადენილ იქნას როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი განზრახვითაც. პირველ შემთხვევაში დამნაშავემ იცის, რომ მის ქმედებას აუცილებლად მოყვება თუნდაც ერთი სხვა პირის სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, მეორე შემთხვევაში კი პირი გულგრილად ეკიდება ადამიანთა დაღუპვის შესაძლებლობას. თუ სახეზე დამატებით გვაქვს სხვათა სიკვდილი ან ჯანმრთელობის დაზიანება, მიზანშეწონილია ქმედების ერთობლიობით კვალიფიკაცია მკვლელობის მოტივს მნიშვნელობა არ აქვს, რადგან კვალიფიკაცია მკვლელობის განხორციელების ხერხს უკავშირდება. მსგავს დანაშაულს არ მიეკუთვნება ტერორისტული აქტი, რადგან იგი მიმართულია საზოგადოებრივი და სახელმწიფო უსაფრთხოების და არა ადამიანის წინააღმდეგ, ამასთან ტერორისტისთვის სულურთია, ვინ და რამდენი ადამიანი დაიღუპება.

გ) მკვლელობა სხვა დანაშაულის დაფარვის ან მისი ჩადენის გაადვილების მიზნით გულისხმობს, რომ მკვლელობამდე სხვა დანაშაული უკვე იყო ჩადენილი და დანაშაულის სუბიექტი ცდილობს დაფაროს როგორც დანაშაული, ისე მისი ჩამდენი პირები. მკვლელობამდე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს არ აქვს მნიშვნელობა. დაზარალებული შეიძლება იყოს ნებისმიერი პირი, რომელსაც, დამნაშავის აზრით, იყო დანაშაულის ფაქტის მოწმე ან შეუძლია მისი მხილება. სხვა დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით მკვლელობისას დამნაშავე სიცოცხლეს უსპობს პირს, რომელსაც მისი აზრით შეუძლია ხელი შეუშალოს მას დანაშაულის ჩადენაში. ამგვარი მკვლელობის ჩადენა ხდება პირდაპირი განზრახვით.

ნაწილი 2. ა) მკვლელობა დამნაშავესთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა.

ამგვარი სახის მკვლელობა გულისხმობს გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას, რადგან სიცოცხლე ესპობა პოტენციურ ადამიანს. მნიშვნელობა არ აქვს ორსულობის ვადას ან ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობას. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას აუცილებელია ქალის სიცოცხლის ხელყოფისას დამნაშავის მიერ მისი ორსულობის მდგომარეობის წინასწარი შეცნობა. თუ დამნაშავე არ იყო დარწმუნებული ქალის ორსულობაში, მოქმედებს პრინციპი in dubio pro reo, შესაბამისად იგი პასუხს აგებს 108-ე მუხლით. თუ დამნაშავე დარწმუნებული იყო, ქალის ორსულობაში, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, კვალიფიკაცია ხდება 108-ე მუხლით, რადგან სახეზე არ გვაქვს მაკვალიფიცირებელი ნიშნის ობიექტი.

ბ) დამნაშავესთვის წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო

მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა ნოვაციაა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება და მსგავსი დანაშაულის ზრდის ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგია. არასრულწლოვნად მიიჩნევა 18 წლამდე პირი, დანაშაულის ჩამდენი პირი სრულწლოვანი უნდა იყოს, რადგან არასრულწლოვანი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შეცდომისას მხედველობაში მიიღება ობიექტურად არსებული რეალობა. უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქიკური უმწეობა. ფიზიკური მდგომარეობის გამო უმწეოა პირი ღრმად მოხუცებულობისას, ავადმყოფობისას, ძილში, სიმთვრალეში, რადგან მათ არ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ფსიქიკური უმწეობისას კი დაზარალებული ვერ აცნობიერებს მის წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფას, თუმცა წინააღმდეგობის გაწევის უნარი შეიძლება ჰქონდეს. ამ პუნქტით კვალიფიკაციისთვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს მკვლელის მიერ პირის უმწეობის წინასწარ ცოდნა და სწორედ ამ ფაქტის გამოყენება. თუ მკვლელობის მოტივიც თავად წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას (ანგარება) მაშინ ქმედება დაკვალიფიცირდება დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობით.

გ) მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით ხდება საზოგადოებაში არსებული თანაცხოვრების წესების უგულებელყოფის შედეგად. დამნაშავის ქცევა მიმართულია ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმებისადმი უპატივცემულების გამოჩენისკენ.

დამნაშავის მოტივი ეფუძნება მისი მოქმედების თავისუფლების არასწორ აღქმას და ფორმულირდება, როგორც „ჩემთვის ყველაფერი დასაშვებია“. მსხვერპლის შერჩევა შემთხვევითია და მკვლელობა ხორციელდება მცირე საბაზის საფუძველზე (სიგარეტის მოთხოვნა), სპეციალური მიზნის გარეშე და შემთხვევითი შერჩევით. ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობას ზოგი მეცნიერი უმოტივოს უწოდებს, რაც არასწორია, რადგან დამანაშავეს აქვს თავისი მოტივაცია, რომელიც შესწავლილი უნდა იყოს, რათა მოხდეს ბრალის დამძიმება. მკვლელობის მოტივის დაუდგენლობის შემთხვევაში დაუშვებელია ამ მუხლით კვალიფიკაცია (108). ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა შეიძლება მოხდეს ჩხუბის შედეგად, თუმცა თუ მისი წამოწყება უკავშირდება დაზარალებულის ქცევას, ქმედება ამ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება. შესაძლებელია არსებობდეს შურისძიების მოტივიც, მაგრამ ის გამოდის არა დომინირებულ ფაქტორად, არამედ ხულიგნური მოტივის გამოვლენის ფორმად. თუ დანაშაულებრივი ქმედება დაიწყო ხულიგნობით და ის შემდეგ გადაიზარდა მკვლელობაში, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა. ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე - ევენტუალური განზრახვით. რომლის დროსაც მკვლელობისას მიზანი გამოიხატება იმ მოქმედების განხორციელებაში, რომელიც დაზარალებულის წინააღმდეგ არის მიმართული, ანუ არ სურს პირის სიკვდილი, მაგრამ არც გამორიცხავს მის დადგომას და შედეგის მიმართ გულგრილია.

დ) მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური

შეუწყნარებლობის გამო. ამ ქვეპუნქტის არსებობა განპირობებულია კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომელიც იცავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას. ამ გარემოების არსი მდგომარეობს დაზარალებულის სხვა რასის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის თუ რელიგიისადმი კუთვნილების გამო სიძულვილში. 142¹-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის გამო პირის პასუხისმგებლობას, რომლის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია ქმედება, რომელმაც ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგი გაუფრთხილებლობით გამოიწვია. ამ ქმედების ჩადენა გულისხმობს პირის მტრულ განწყობას სხვა რასისა თუ ეთნოსის მქონე პირის მიმართ, რაც პიროვნულ კონფლიქტში გადაიზრდება. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას გამორიცხული არაა სხვა მოტივის არსებობაც, მაგრამ აუცილებელია ამ მოტივის დომინირება. უმეტეს შემთხვევაში ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

ე) განზრახი მკვლელობა ჯგუფურად მოიცავს ჯგუფური დანაშაულის ყველა სახეს, რომელიც 27-ე მუხლშია მოცემული. ჯგუფურია დანაშაული, როდესაც ორი ან მეტი დამნაშავე სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის თანაამსრულებლად. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს პირთა მიერ წინასწარ შეუთანხმებლად ან შეთანხმებით. შეთანხმებით ჩადენილი ჯგუფური დანაშაული უფრო საშიშია, რადგან პირის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შანსი

მცირდება. იმისათვის რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს ჯგუფის მიერ ჩადენილად, აუცილებელია, რომ დამნაშავენი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. უფრო მაღალი საშიშროების შემცველია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობა. თანამონაწილეთა და თანაამსრულებელთა პასუხისმგებლობის საკითხი წყდება 25-ე მუხლის თანახმად. ასეთი სახის მკვლელობა პირდაპირი განზრახვით ხდება.

4. მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში (109 II & III)

ნაწილი 2. ა) მკვლელობა დამნაშავეთა წინასწარი შეცნობით ორსული ქალისა. ამგვარი სახის მკვლელობა გულისხმობს გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებას, რადგან სიცოცხლე ესპობა პოტენციურ ადამიანს. მნიშვნელობა არ აქვს ორსულობის ვადას ან ნაყოფის სიცოცხლისუნარიანობას. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას აუცილებელია ქალის სიცოცხლის ხელყოფისას დამნაშავეს მიერ მისი ორსულობის მდგომარეობის წინასწარი შეცნობა. თუ დამნაშავე არ იყო დარწმუნებული ქალის ორსულობაში, მოქმედებს პრინციპი in dubio pro reo, შესაბამისად იგი პასუხს აგებს 108-ე მუხლით. თუ დამნაშავე დარწმუნებული იყო, ქალის ორსულობაში, თუმცა ეს ასე არ აღმოჩნდა, კვალიფიკაცია ხდება 108-ე მუხლით, რადგან სახეზე არ გვაქვს მაკვალიფიცირებელი ნიშნის ობიექტი.

ბ) დამნაშავეთა წინასწარ შეცნობით არასრულწლოვნის ან უმწეო მდგომარეობაში მყოფის მკვლელობა ნოვაციაა, როგორც მაკვალიფიცირებელი გარემოება და მსგავსი დანაშაულის ზრდის ტენდენციის წინააღმდეგ ბრძოლის შედეგია. არასრულწლოვნად მიიჩნევა 18 წლამდე პირი, დანაშაულის ჩამდენი პირი სრულწლოვანი უნდა იყოს, რადგან არასრულწლოვანი ჯერ კიდევ განვითარების პროცესშია. შეცდომისას მხედველობაში მიიღება ობიექტურად არსებული რეალობა. უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება ფიზიკური ან ფსიქიკური უმწეობა. ფიზიკური მდგომარეობის გამო უმწეოა პირი ღრმად მოხუცებულობისას, ავადმყოფობისას, ძილში, სიმთვრალეში, რადგან მათ არ აქვთ წინააღმდეგობის გაწევის უნარი. ფსიქიკური უმწეობისას კი დაზარალებული ვერ აცნობიერებს მის წინააღმდეგ მიმართულ ხელყოფას, თუმცა წინააღმდეგობის გაწევის უნარი შეიძლება ჰქონდეს. ამ პუნქტით კვალიფიკაციისთვის აუცილებელ ნიშანს წარმოადგენს მკვლელობის მიერ პირის უმწეობის წინასწარ ცოდნა და სწორედ ამ ფაქტის გამოყენება. თუ მკვლელობის მოტივიც თავად წარმოადგენს დამამძიმებელ გარემოებას (ანგარება) მაშინ ქმდება დაკვალიფიცირდება დამამძიმებელ გარემოებათა ერთობლიობით.

გ) მკვლელობა ხულიგნური ქვენაგრძნობით ხდება საზოგადოებაში არსებული თანაცხოვრების წესების უგულებელყოფის შედეგად. დამნაშავეს ქცევა მიმართულია ზნეობრივი და სამართლებრივი ნორმებისადმი უპატივცემულების გამოჩენისკენ. დამნაშავეს მოტივი ეფუძნება მისი მოქმედების თავისუფლების არასწორ აღქმას და ფორმულირდება, როგორც „ჩემთვის ყველაფერი დასაშვებია“. მსხვერპლის შერჩევა

შემთხვევითია და მკვლელობა ხორციელდება მცირე საბაზის საფუძველზე (სიგარეტის მოთხოვნა), სპეციალური მიზნის გარეშე და შემთხვევითი შერჩევით. ხულიგნური ქვენაგრძნობით ჩადენილ მკვლელობას ზოგი მეცნიერი უმოტივოს უწოდებს, რაც არასწორია, რადგან დამანშავეს აქვს თავისი მოტივაცია, რომელიც შესწავლილი უნდა იყოს, რათა მოხდეს ბრალის დამძიმება. მკვლელობის მოტივის დაუდგენლობის შემთხვევაში დაუშვებელია ამ მუხლით კვალიფიკაცია (108). ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობა შეიძლება მოხდეს ჩხუბის შედეგად, თუმცა თუ მისი წამოწყება უკავშირდება დაზარალებულის ქცევას, ქმედება ამ პუნქტით ვერ დაკვალიფიცირდება. შესაძლებელია არსებობდეს შურისძიების მოტივიც, მაგრამ ის გამოდის არა დომინირებულ ფაქტორად, არამედ ხულიგნური მოტივის გამოვლენის ფორმად. თუ დანაშაულებრივი ქმედება დაიწყო ხულიგნობით და ის შემდეგ გადაიზარდა მკვლელობაში, სახეზე გვექნება დანაშაულთა ერთობლიობა. ხულიგნური ქვენაგრძნობით მკვლელობის ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ისე - ევენტუალური განზრახვით. რომლის დროსაც მკვლელობისას მიზანი გამოიხატება იმ მოქმედების განხორციელებაში, რომელიც დაზარალებულის წინააღმდეგ არის მიმართული, ანუ არ სურს პირის სიკვდილი, მაგრამ არც გამორიცხავს მის დადგომას და შედეგის მიმართ გულგრილია.

დ) მკვლელობა რასობრივი, რელიგიური, ეროვნული ან ეთნიკური

შეუწყნარებლობის გამო. ამ ქვეპუნქტის არსებობა განპირობებულია კონსტიტუციის მე-14 მუხლით, რომელიც იცავს ადამიანთა თანასწორუფლებიანობას. ამ გარემოების არსი მდგომარეობს დაზარალებულის სხვა რასის, ეროვნების, ეთნიკური ჯგუფის თუ რელიგიისადმი კუთვნილების გამო სიძულვილში. 142¹-ე მუხლი ითვალისწინებს ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევის გამო პირის პასუხისმგებლობას, რომლის ერთ-ერთ დამამძიმებელ გარემოებად მითითებულია ქმედება, რომელმაც ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შედეგი გაუფრთხილებლობით გამოიწვია. ამ ქმედების ჩადენა გულისხმობს პირის მტრულ განწყობას სხვა რასისა თუ ეთნოსის მქონე პირის მიმართ, რაც პიროვნულ კონფლიქტში გადაიზრდება. ამ პუნქტით კვალიფიკაციისას გამორიცხული არაა სხვა მოტივის არსებობაც, მაგრამ აუცილებელია ამ მოტივის დომინირება. უმეტეს შემთხვევაში ეს დანაშაული პირდაპირი განზრახვით ხასიათდება.

ე) განზრახი მკვლელობა ჯგუფურად მოიცავს ჯგუფური დანაშაულის ყველა სახეს, რომელიც 27-ე მუხლშია მოცემული. ჯგუფურია დანაშაული, როდესაც ორი ან მეტი დამნაშავე სრულად ან ნაწილობრივ ახორციელებს მკვლელობის ობიექტურ შემადგენლობას და გამოდის თანაამსრულებლად. იგი შეიძლება ჩადენილ იქნეს პირთა მიერ წინასწარ შეუთანხმებლად ან შეთანხმებით. შეთანხმებით ჩადენილი ჯგუფური დანაშაული უფრო საშიშია, რადგან პირის მხრიდან წინააღმდეგობის გაწევის შანსი მცირდება. იმისათვის რომ მკვლელობა დაკვალიფიცირდეს ჯგუფის მიერ ჩადენილად, აუცილებელია, რომ დამნაშავენი მოქმედებდნენ ერთიანი განზრახვით. უფრო მაღალი

საშიშროების შემცველია ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი მკვლელობა. თანამონაწილეთა და თანამსრულებელთა პასუხისმგებლობის საკითხი წყდება 25-ე მუხლის თანახმად. ასეთი სახის მკვლელობა პირდაპირი განზრახვით ხდება.

ნაწილი 3. ა) მკვლელობა ორი ან მეტი პირისა გულისხმობს ორი ან მეტი განზრახ მკვლელობას, რომელიც ჩადენილია ერთდროულად ან სხვა პირის მკვლელობას პირველი მსხვერპლის მკვლელობიდან მცირე დროის განმავლობაში. ამ დროს მკვლელი მოქმედებს ერთიანი განზრახვით. ეს გარემოება მაკვალიფიცირებელია, რადგან მკვლელობას უფრო მძიმე შედეგი მოყვება, ვიდრე ჩვეულებრივი მკვლელობისას. თუ ორი ან მეტი მკვლელობის მიმართ არ არსებობს ერთიანი განზრახვა და პირი არცერთისთვის მსჯავრდებული არ ყოფილა, თითოეულ მკვლელობას ცალკე კვალიფიკაცია მიეცემა და მოხდება სასჯელის შეკრება 108-ე მუხლით. თუ სახეზეა ერთი მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა, ქმედება დაკვალიფიცირდება, როგორც მკვლელობა (108) და ორი ან მეტი პირის მკვლელობის მცდელობა. თუ დანაშაული ხორციელდება ერთიანი განზრახვით სხვადასხვა დროს, განზრახვა შეიძლება იყოს მხოლოდ პირდაპირი, ერთდროული მკვლელობისას კი - ორივე სახის. გამორიცხული არაა რამდენიმე მოტივის არსებობაც (ხულიგნური ქვენაგრძნობა + დანაშაულის დაფარვა).

ბ) მკვლელობა განსაკუთრებული სისასტიკით შეიძლება გამოვლინდეს როგორც დანაშაულის ჩადენის ხერხში, ისე მკვლელობასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებში. აუცილებელია დადგინდეს, რომ დამნაშავის განზრახვა მოიცავდა განსაკუთრებულ სისასტიკეს, როგორც მკვლელობის დამამძიმებელ გარემოებას. ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ყურადღება ექცევა დამნაშავის დამოკიდებულებას არა მარტო შედეგის, არამედ თავად სისასტიკისადმიც. სისასტიკის ცნება წარმოადგენს არა სამედიცინო, არამედ იურიდიულ ცნებას. სასტიკია მკვლელობის ის შემთხვევები, რომლის დროსაც მსხვერპლის სიცოცხლის მოსპობის მიზნის გარდა, დამნაშავეს თავისი მოქმედებით მიზნად ისახავს განსაკუთრებული ტანჯვის მიყენებას დაზარალებულისადმი (წამება, ცოცხლად დაწვა, შიმშილით მოკვლა). განზრახვის რეალიზაციის მრავალი ჭრილობის მოქმედება უპირობოდ არ ნიშნავს განსაკუთრებულ სისასტიკეს თუ სახეზე გამართლებული აფექტის მდგომარეობა გვაქვს. მას მიეკუთვნება ახლოებლების წინ ადამიანის მკვლელობაც, რომლის დროსაც სისასტიკე ვლინდება დამნაშავის გულგრილობაში მსხვერპლის ახლობელთა მიმართ. მკვლელობის შემდეგ გვამის დანაწევრება არ გულისხმობს განსაკუთრებულ სისასტიკეს, რადგან სიკვდილის შემდეგ უკვე აღარ არსებობს დანაშაულის ობიექტი.

გ) მკვლელობა ანგარებით ან შეკვეთით გულისხმობს მკვლელობას, რომლის მიზანი მატერიალური გამორჩენის მიღებაა (ან თანამდებობის დაუფლება, თუ ის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებას უკავშირდება). ანგარება გულისხმობს გამდიდრებისკენ მისწრაფებას. ანგარებით მკვლელობად ჩაითვლება მსხვერპლთან ერთად შეძენილი

საერთო საკუთრების, მემკვიდრეობის მისაღებად ან მატერიალური ხარჯისგან გათავისუფლების მიზნით ჩადენილი მკვლელობა. ანგარების მოტივი წინ უნდა უსწრებდეს მკვლელობას, წინააღმდეგ შემთხვევაში გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა (მკვლელობა და ქონებრივი დანაშაული). აუცილებელი არაა მოტივის რეალიზება, მისი არსებობაც კი უკვე მაკვალიფიცირებელი გარემოებაა. განზრახვის სახე მხოლოდ პირდაპირია, თუ მკვლელობა არ ხორციელდება ყაჩაღური განზრახვისას (ქურქის გახდა). მკვლელობა შეკვეთით წარმოადგენს ანგარებითი მკვლელობის სახესხვაობას, თუმცა ქონებრივი მოტივი შეიძლება არც იყოს გამოკვეთილი. შეკვეთას არ წარმოადგენს მეგობრის თხოვნა. თუ სახეზე გვაქვს მხოლოდ ანგარებით მკვლელობა, განზრახვის სახე ყოველთვის პირდაპირია, თუმცა ყაჩაღური თავდასხმის დროს შესაძლოა არაპირდაპირი განზრახვაც გვქონდეს.

დ) მკვლელობა მსხვერპლის სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ან სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ამგარემოების დამამძიმებლად აღიარება განპირობებულია მედიცინის უკანასკნელი მიღწევებით, რის გამოც წარმოიშვა სოციალურად დაუცველი ფენებისა და ბავშვების მომეტებულად დაცვის საჭიროება. ამ სახის მკვლელობა შეიძლება განხორციელდეს როგორც სამედიცინო დაწესებულებაში მყოფი ავადმყოფის მიმართ, ისე ძალადობის გზით ქსოვილის მოპოვების გზითაც. ამ დანაშაულის მოტივი უმეტესად ანგარებითია, თუმცა შეიძლება იყოს ასევე ახლობლის გადარჩენა, ექსპერიმენტის ჩატარების უზრუნველყოფა ან სხვა. 134-137-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულთა არსებობისას გვაქვს ერთობლიობა. ეს დანაშაულიც მხოლოდ პირდაპირი განზრახვით ხორციელდება.

ე) მკვლელობა არაერთგზის (გარდა 110-114 მუხლებით გათვალისწინებული მკვლელობებისა). არაერთგზისი დანაშაული გულისხმობს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, შესაბამისად ამ პუნქტით პასუხისმგებლობის დამძიმებისთვის უნდა არსებობდეს ორი მკვლელობა, გაყოფილი ნასამართლობის ნიშნით და არაერთიანი განზრახვით. არაერთგზისად არ ჩაითვლება მკვლელობა, თუ პირს ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს. ეს გარემოება პერსონალურად შეერაცხება ამსრულებელს, ამასთან, წინა დანაშაულში მისი მონაწილეობის ხარისხი მხედველობაში არ მიიღება კვალიფიკაციის ეტაპზე.

ვ) მკვლელობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასთან ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით ძირითადად შურისძიებას წარმოადგენს, რომლის ადრესატიც შეიძლება თავად პირი ან მისი ახლო ნათესავი იყოს. მკვლელობის ამ პუნქტით კვალიფიკაცია ხდება მაშინაც, როცა შურისძიების მოტივის დადგენა შეუძლებელია, მაგრამ მკვლელობა ხორციელდება დაზარალებულის მართლზომიერი საქმიანობისთვის ხელის შეშლის მიზნით ან მის საზოგადოებრივ საქმიანობასთან დაკავშირებით. სამსახურებრივი საქმიანობის

შემსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი რანგის თანამდებობის პირი, მთავარია მისი საქმიანობა შეესაბამებოდეს კანონს. მნიშვნელობა არ აქვს, თუ როდის ხდება მკვლელობა, დაზარალებულის მიერ მოვალეობის შესრულებისას, თუ ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ. მთავარია დადგინდეს, რომ მკვლელობა მის საქმიანობას უკავშირდება. ამ პუნქტით ხდება ისეთი პირის მკვლელობის კვალიფიკაცია, რომელიც არ წარმოადგენს თანამდებობის პირს, მაგრამ თავისი მოქმედებით იხდის მოქალაქეობრივ ვალს. სამწუხაროდ, სს კანონმდებლობა გაუმართლებლად ავიწროებს იმ პირთა წრეს, რომელთა მკვლელობაც მაკვალიფიცირებელ გარემოებად ჩაითვლება.

5. მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით

ევთანაზია - მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით (მუხლი 110). ევთანაზია (ელს-კარგი თანატოს-სიკვდილი) გულისხმობს ადამიანის სიკვდილის განზრახ დაჩქარებას ან ტერმინალურ მდგომარეობაში მოურჩენელი ავადმყოფისთვის სიცოცხლის მოსპობას მისი ტანჯვისგან გათავისუფლების მიზნით. ევთანაზია წარმოშობს კონფლიქტს ორ უფლებას შორის: მომაკვდავი ადამიანის სიცოცხლის უფლება და თავად მომაკვდავის სიკვდილის სურვილი. განასხვავებენ ნებაყოფლობით და იძულებით, აქტიურ და პასიურ, პირდაპირ და არაპირდაპირ ევთანაზიას. იძულებითი - მკვლელობა ხორციელდება მსხვერპლის თანხმობის გარეშე (მას არ სურს სიკვდილი) იმ საფუძველით, რომ მისი შენარჩუნება საზოგადოებას ტვირთად აწევს. ნებაყოფლობითი - მსხვერპლს სურს სიკვდილი. აქტიური ევთანაზია გულისხმობს უკურნებელი დაავადების ტერმინალურ სტადიაზე მყოფი ავადმყოფის მიმართ ისეთი პრეპარატის გამოყენებას, რომელიც აჩქარებს სიკვდილს, ხოლო პასიური ევთანაზია გულისხმობს დამხმარე თერაპიის შეწყვეტას, რაც იმავე შედეგს იწვევს, მაგრამ სიკვდილი ბუნებრივად დგება. პასიური ნებაყოფლობითი ევთანაზია ლეგალურია - პაციენტის უფლებები შესახებ კანონი აღიარებს მოქალაქის უფლებას, წინასწარ წერილობით გამოხატოს ნება უგონო მდგომარეობაში აღმოჩენისას მისთვის სიცოცხლის შემანარჩუნებელი მკურნალობის ჩატარების შესახებ თუ ეს გარემოებები უკურნებელი დაავადების ტერმინალური სტადიით არის გამოწვეული. აქტიურ ნებაყოფლობით ევთანაზიას კი ქვეყნების ერთი, ყველაზე დიდი ჯგუფი მარტივ მკვლელობად აფასებს (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი), მეორე - შედარებით მსუბუქ სასჯელს აწესებს (გერმანია ავსტრია შვეიცარია), მესამე ჯგუფმა კი მოახდინა მისი დეკრიმინალიზაცია (პერუ, ურუგვაი, ჰოლანდია).

ექიმები ვალდებული არიან გამოიყენონ ახალი სამეცნიერო და ტექნიკური მიღწევები, მაგრამ ბოროტად არ უნდა ისარგებლონ ამით. ექიმს უფლება არ აქვს ავადმყოფს ადვილი სიკვდილის უფლება წაართვას. გარდაუვალი სიკვდილის როგორც გაჭიანურება, ისე დაჩქარება თანაბარი სიმძიმის დანაშაულია. ექიმს უფლება აქვს თავისი

მეცნიერული რწმენის საფუძველზე გამორთოს აპარატი, როცა ხელოვნურად ხდება სიცოცხლის შენარჩუნება, თუკი აპარატის გარეშე სიცოცხლის დამოუკიდებლად აღდგენა შეუძლებელია. აქტიური ევთანაზიის წინააღმდეგ კი არსებობს სერიოზული არგუმენტები, როგორც რელიგიური და სამედიცინო, ისე სოციალური და სისხლისსამართლებრივი კუთხით, რის გამოც მკვლელობა მსხვერპლის თხოვნით მიეკუთვნება პრივილეგიურებულ შემადგენლობათა ჯგუფს. მკვლელობა ხდება მსხვერპლის დაჟინებული თხოვნით.

ქმედებას ევთანაზიის კვალიფიკაცია რომ მიეცეს, თხოვნა უნდა მომდინარეობდეს მხოლოდ ავადმყოფისგან, თხოვნა ადვილი სიკვდილის შესახებ გამოთქმული უნდა იყოს გაცნობიერებულად, საღი გონებით, განმეორებული უნდა იყოს არაერთგზის, ავადმყოფი უნდა მოქმედებდეს იძულების გარეშე, სიკვდილის სურვილის შესახებ საფუძველი უნდა იყოს ავადმყოფობით გამოწვეული ძლიერი ფიზიკური და არა სულიერი ტკივილი. გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება დამნაშავის მოქმედების სუბიექტურ შემადგენლობას, ქმედების ერთადერთი მოტივი სიბრაღული უნდა იყოს და მზინად ისახავდეს მომაკვდავის ძლიერი ფიზიკური ტკივილისგან გათავისუფლებას.

6. მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში

აფექტი - განზრახ მკვლელობა უეცარი, ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში (მუხლი 111). აფექტში ჩადენილი მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება ორი გარემოებით არის განპირობებული: დამნაშავე მოქმედებს განსაკუთრებულ ფსიქიკურ სიტუაციაში (უეცრად აღძრული ძლიერი სულიერი არელვების მდგომარეობაში) და მკვლელობა პროვოცირებულია თვით დაზარალებულის ქცევით - მისი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება იწვევს დამნაშავის აფექტს და აქედან გამომდინარე სურვილს, მოკლას დაზარალებული. აფექტი არის უეცრად აღძრული და სწრაფწარმავალი სულიერი განცდა, რომელიც იწვევს შეგნებული ნებელობითი კონტროლის შემცირებას და გამოსავალს მოქმედებაში პოულობს. აფექტი შეიძლება გამოწვეულ იქნას სხვადასხვა ფაქტორით: სოციალური ურთიერთობის მართლსაწინააღმდეგო ან ზნეობრივი ნორმების დარღვევით. მაპროვოცირებელი ქმედებების ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია 111-ე მუხლში - ეს შეიძლება იყოს *მართლსაწინააღმდეგო ძალადობა*, რომელიც გულისხმობს როგორც ფიზიკურ (ცემა), ისე ფსიქიკურ ძალადობას (მუქარა), *მძიმე შეურაცხყოფა*, გამოხატული სიტყვიერად, ფიზიკური ზემოქმედებით ან სხვა სახით. საკითხი იმის შესახებ, თუ რა მოქმედება შეიძლება ჩაითვალოს მძიმე შეურაცხყოფად, უნდა გადაწყდეს ყველა ცალკეულ შემთხვევაში საქმის კონკრეტულ გარემოებათა გათვალისწინებით. სიმძიმის ხარისხის დასადგენად მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული შეურაცხყოფის შინაარსი და ფორმა, თ რამდენად ეწინააღმდეგება იგი საყოველთაოდ აღიარებულ ზნეობრივ ნორმებს. *მძიმე*

ამორალური ქცევა გულისხმობს ღალატს, შვილად აყვანის საიდუმლოების გახმაურებას და ა.შ. აფექტის წარმოშობა შეიძლება განაპირობოს არაერთგზისი მართლსაწინააღმდეგო ან ამორალური ქცევით განპირობებულ ფსიქიკურმა ტრავმამ. ფსიქიკაზე სისტემატური ზემოქმედების შედეგად ხდება ნეგატიური ემოციების აკუმულირება და გამორიცხული არ არის აფექტური აფეთქება, როდესაც მოთმინების ფიალა ივსება.

მკვლელობის 111-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ ადამიანის სიცოცხლის განზრახ მოსპობა წარმოადგენდეს დამნაშავეს საპასუხო რეაქციას დაზარალებულის არამართლზომიერ ქცევაზე. აფექტური მდგომარეობა წარმოიშობა მართლსაწინააღმდეგო ქცევისთანავე, მაგრამ შესაძლოა მკვლელობა ჩადენილი ქნეს გარკვეული დროის გასვლის შემდეგაც, თუ ფსიქიკური ტრავმა ძალიან მძიმე იყო და კონკრეტულ სიტუაციაში დამნაშავეს არ ჰქონდა შესაძლებლობა რეაგირება მოეხდინა მართლსაწინააღმდეგო აქტზე. კვალიფიკაციისთვის ის არის აუცილებელი, რომ აფექტის წარმოქმნასა და მის რეალიზაციას შორის არ იყოს დრო გასული. აფექტის ნიადაგზე ჩადენილი მკვლელობის სუბიექტური შემადგენლობა გულისხმობს პირდაპირ განზრახვას. პირის სურვილი შეიძლება მიმართული იყოს როგორც განსაზღვრული, ისე განუსაზღვრელი შედეგის მიღწევისკენ. მკვლელობის მოტივს კვალიფიკაციაზე გავლენა არ აქვს - მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, სიძულვილი, ეჭვი და ა.შ. თუ მსხვერპლის მკვლელობა აფექტის მდგომარეობაშია ჩადენილი, არ შეიძლება ბრალის დამძიმება რაიმე მაკვალიფიცირებელი გარემოების არსებობის მიუხედავად. ერთადერთი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება გათვალისწინებულია 111-ე მუხლის მეორე ნაწილშივე, რომელიც გულისხმობს ორი ან მეტი ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობას აფექტის მდგომარეობაში. ამ ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, დადგინდეს, რომ მკვლელობები ჩადენილი იყო ერთდროულად, ერთ ადგილას და ერთიანი განზრახვით.

7. დედის მიერ ახალშობილის განზრახ მკვლელობა (მ. 112)

ამ მუხლის არსებობა ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ნოვაციას წარმოადგენს, რაც მშობიარე ქალის ფსიქოტრავმულ ან ისეთ ფსიქიკურ მდგომარეობაში ყოფნის შესაძლებლობით არის განპირობებული, როდესაც თავისი მოქმედების მიმართ შესუსტებული აქვს კონტროლის უნარი. ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით, პირდაპირი განზრახვით. მკვლელობა უნდა მოხდეს მშობიარობისას ან მშობიარობის შემდეგ დროის განსაზღვრულ, მცირე პერიოდში, რომელიც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს. თუ მშობიარობა დაწყებულია, სახეზეა ნაყოფის მოსპობა და არა ახალშობილის მკვლელობა, რაც გვექნება იმ შემთხვევაში, თუ ახალშობილის სხეულის რომელიმე ნაწილი გამოეყო საშოს.

მკვლელობის ჩადენის მოტივი ბევრნაირი შეიძლება იყოს, თვით მშობიარობის პორცესსაც შეუძლია ძლიერი ზეგავლენა მოახდინოს მშობიარე ქალზე. თუ დადგინდება, რომ ქალის მშობიარობა პირველი არ არის და მიმდინარეობს განსაკუთრებული ემოციის გარეშე, თუ დედა წინასწარ მოფიქრებული განზრახვით კლავს ბავშვს, ეს ქმედება 109-ე მუხლით დაკვალიფიცირდება. ამ დანაშაულის სუბიექტი შეიძლება მხოლოდ ახალშობილის დედა იყოს. შესაძლებელია დანაშაულში თანამონაწილეობა, რომლის შემთხვევაშიც ქმედება დაკვალიფიცირდება 109-ე მუხლით (არასრულწლოვნის მკვლელობა).

8. მკვლელობა აუცილებელი მოგერიების ფარგლებს გადაცილებით

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუკი არსებობს მომგერიებლის მიერ თავდაცვის აშკარა შეუსაბამობა მასზე თავდასხმის ხასიათსა და საშიშროებასთან, დგება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუმცა იგი მიჩნეულია პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად. სახეზე გვაქვს აუცილებელი მოგერიების ფარგლების ექსტენსიური (დროითი ფარგლების) ან ინტენსიური (მოგერიების ფარგლების) გადაცილება. დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება აქტიური მოქმედებით, რომელიც მიმართულია იმ ადამიანისთვის სიცოცხლის მოსასპობად, რომელმაც საშიში ხელყოფა ჩაიდინა. იმისთვის, რომ ზუსტად იქნეს განსაზღვრული, გადასცილდა თუ არა პირის მოქმედება აუცილებელი მოგერიების ფარგლებს, პირველ რიგში უნდა დადგინდეს, იმყოფებოდა თუ არა იგი აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში, ხოლო შემდეგ განისაზღვროს დაცვის მართლზომიერების ფარგლები. აუცილებელი მოგერიების ფარგლების დასადგენად ყურადღება უნდა მიექცეს არამარტო დაცვისა და თავდასხმის საშუალებას, არამედ თავდასხმის საშიშროების ხარისხს, თავდასხმის თავიდან აცილებისთვის მის შესაძლებლობას, თავდამსხმელთა და მომგერიებელთა რაოდენობასა და ასაკს, იარაღის არსებობას და სხვა გარემოებებს. გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანი არ იწვევს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. იმ შემთხვევაშიც, როცა მიყენებული ზიანი უფრო დიდია ვიდრე თავიდან აცილებული, არ არსებობს აუცილებელი ფარგლების გადაცილება, თუ არ გვაქვს აშკარა შეუსაბამობა დაცვასა და ხელყოფის ხასიათს შორის. მომგერიებლის მიერ თავდამსხმელის მკვლელობა იმ შემთხვევაში იქნება აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილება, თუ არსებული სიტუაცია გამორიცხავდა დაცვისთვის იმ საშუალების გამოყენებას, რითაც დაზარალებულს სიცოცხლე მოესპო. თავდამსხმელისთვის სიცოცხლის მოსპობა თავდასხმის დამთავრების შემდეგ, როდესაც მომგერიებელს შეცნობილი აქვს, რომ საფრთხე აღარ არსებობს, ვერ დაკვალიფიცირდება ამ მუხლით, რადგან არ არსებობს აუცილებელი მდგომარეობა. თუ ეს გარემოება პირისთვის ცნობილი არ იყო, მაშინ სახეზე გვექნება ბრალის გამომრიცხველი მისატყვებელი შეცდომა. იმ შემთხვევაშიც, თუ აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით ორი ან მეტი პირის მკვლელობა

გვაქვს, ქმედება კვალიფიცირდება კოდექსის 113-ე მუხლით. ამ დანაშაულის ჩადენა პირდაპირი განზრახვით შეუძლებელია, სახეზე გვაქვს მხოლოდ განზრახი მოქმედება. პირდაპირი განზრახვით ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირდება 108-ე მუხლით.

9. მკვლელობა დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილებით

ახალი სისხლის სამართლის კოდექსის მიღებამდე ამ დანაშაულის ჩამდენი პირი განიხილებოდა აუცილებელი მოგერიების ფარგლების გადაცილებით მოქმედ პირად, რაც გაუმართლებელია, რადგან არსებობს პრინციპული განსხვავება აუცილებელ მოგერიებასა და დამნაშავის შეპყრობას შორის ისევე, როგორც არსებობს განსხვავება ზიანის მიყენების მართლზომიერებასთან დაკავშირებით. დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომის გადაცილება ნიშნავს ამ ზომის აშკარა შეუსაბამობას შესაპყრობი პირის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმესა და შეპყრობის გარემოებებთან. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა ხასიათდება ისეთი მოქმედებით, რომელიც აშკარად არ შეესაბამება დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხასიათს საშიშროებასა და შეპყრობის გარემოებებს. პირმა შეიძლება გაუწიოს წინააღმდეგობა შემპყრობს, მაგრამ იგი სხვა საშუალებითაც შეიძლება იყოს დაძლეული. აუცილებელია, რომ დამნაშავე მოქმედებდეს დანაშაულის ჩამდენი პირის შეპყრობის სიტუაციაში. თუ შეპყრობა ხდება ჯერ კიდევ დაუმთავრებელი ხელყოფის დროს ან წინააღმდეგობის გაწევისას, სიცოცხლის მოსპობა ხორციელდება აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან მისი ფარგლების გადაცილებით. დანაშაულსა და ხელყოფის დამთავრების შემდეგ ან სხვა სიტუაციაში (გაქცევისას) აუცილებელი მოგერიების მდგომარეობა აღარ არსებობს. დამნაშავის შეპყრობისას ადამიანისთვის სიცოცხლის მოსპობა უნდა გაიმიჯნოს შურისძიების მოტივით მკვლელობისგან, რაც თვითგასწორების აქტს წარმოადგენს. დამნაშავის შეპყრობის მიზანი პირის ხელისუფლების ორგანოში წარდგენა, რაც გამორიცხავს პირდაპირი განზრახვის არსებობას. თუ პირის მხრიდან არ ხდება წინააღმდეგობის გაწევა, ქმედება დაკვალიფიცირდება 108-ე, 109-ე ან 111-ე მუხლით.

10. თვითმკვლელობამდე მიყვანა

დანაშაულის ობიექტური მხარე ხასიათდება მსხვერპლის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანის მუქარით, სასტიკი მოპყრობით ან მისი პატივის ან ღირსების სისტემატური დამცირებით. კანონმდებელი უთითებს იმ ხერხზეც, რომლის დახმარებითაც დამნაშავეს მიჰყავს დაზარალებული თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე. თვითმკვლელობამდე მიყვანა ნიშნავს მსხვერპლის მიმართ დამნაშავის მიერ რიგი არამართლზომიერი ქმედების ჩადენას. *მუქარაში* შეიძლება ვიგულისხმოთ სიკვდილის

თუ ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების, სამსახურიდან დათხოვნის, სახლის დაწვისა და სხვა ნებისმიერი მუქარა. დისპოზიციაში არ არის ახნილი მუქარის შინაარსი და ხასიათი, ამიტომ მუქარის ხასიათს კვალიფიკაციისას მნიშვნელობა არ ენიჭება, მთავარია მუქარას იყოს მართლსაწინააღმდეგო. იგი შეიძლება იყოს ერთჯერადი ან მრავალდღეჯარდი, დაზარალებულის მიერ უნდა აღიქმებოდეს, როგორც მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგო. *სასტიკი მოპყრობა*, როგორც თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანის საშუალება, შეფასებითი ცნებაა და სასამართლომ უნდა გადაწყვიტოს. სასტიკი მოპყრობა გულისხმობს ისეთ ქმედებათა ჩადენას, რომელიც დაზარალებულს განსაკუთრებულ ფიზიკურ ან ზნეობრივ ტანჯვას აყენებს (ცემა, ტანჯვა, უაზრო, მძიმე სამუშაოს შესრულების იძულება). იგი შეიძლება ატარებდეს სისტემატურ ხასიათს ან ერთჯერად აქტს. *მსხვერპლის მიმართ პატივისა და ღირსების სისტემატური დამცირება* შეიძლება გამოიხატოს ფსიქოსადიზმში, შეურაცხყოფასა სხვა ქმედებებში.

თვითმკვლელობამდე მიყვანის მრავალი ხერხიდან უმრავლესობა თავად წარმოადგენს სისხლისსამართლებრივად დასჯად ქმედებას. თუ ქმედება სრულად არის მოცული 115-ე მუხლით, მაშინ ის ამ დანაშაულის ნაწილია და სხვა მუხლებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. თუმცა, თუ დამნაშავეს მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელმაც დაზარალებული თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიიყვანა, სისხლის სამართლის კოდექსით უფრო მკაცრად ისჯება, ქმედება დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით. დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის სავალდებულო ნიშანს წარმოადგენს თვითმკვლელობის ან მისი მცდელობის ფაქტის არსებობა. დანაშაული დამთავრებულია მცდელობის ეტაპზევე. თავის მოკვლის განზრახვა ან მომზადება ამ მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობას არ ქმნის. დანაშაულის შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია დამნაშავეს მოქმედებასა და დაზარალებულის თვითმკვლელობამდე ან მის ცდამდე მიყვანას შორის მიზეზობრივი კავშირის არსებობა. მცირეწლოვანი ან შეურაცხადი პირის თვითმკვლელობამდე მიყვანა წარმოადგენს შუალობით მკვლელობას, ისევე როგორც ფიზიკური იძულება, როდესაც პირს არ შეუძლია საკუთარი ნების გამოყვანა (გამოუვალ მდგომარეობაში ჩაყენება).

11. სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით

სისხლის სამართლის კოდექსის 116-ე მუხლით გათვალისწინებული სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით არის სიცოცხლეზე დანაშაულებრივი ხელყოფის სახესხვაობა და არა მკვლელობა. იგი საშიშია საზოგადოებისთვის დამდგარი შედეგის გამო. იგი შეიძლება განხორციელდეს როგორც თვითმედოვნების, ისე დაუდევრობის შედეგად. ზემოაღნიშნული მუხლით პასუხისმგებლობა დგება მაშინ, როცა დამნაშავე

არღვევს საყოველთაოდ სავალდებულო წინდახედულების ნორმებს. თვითიმედოვნებით სიცოცხლის მოსპობის შემთხვევაში პირი ითვალისწინებს თავისი ქმედების მავნე შედეგის დადგომის აბსტრაქტულ და არა კონკრეტულ შესაძლებლობას. ნებელობითი მომენტი კი ხასიათდება პირის უსაფუძვლო იმედით, რომ ის ამ შედეგს თავიდან აიცილებს (გამოცდილების, პროფესიონალიზმის ან სხვა ფაქტორთა გამო). სიცოცხლის მოსპობა გაუფრთხილებლობით განსხვავდება ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანებისგან, რამაც სასიკვდილო შედეგი გამოიწვია. უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავეს განზრახვა მოიცავდა ჯანმრთელობის დაზიანებას, სიკვდილი კი გაუფრთხილებლობით დადგა. სიცოცხლის მოსპობას ახლავს დამამძიმებელი გარემოება, რომელიც გულისხმობს, რომ სასჯელი მკაცრდება, თუ იმავე ქმედებამ ორი ან მეტი პირის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

12. ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ცნება, ზოგადი დახასიათება და სახეები

ჯანმრთელობა შეუფასებელი სიკეთეა, მასზეა დამოკიდებული ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა, შრომისუნარიანობა და ა.შ. იგი დაცულია კონსტიტუციითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით. სახელმწიფოს მიერ მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვა გულისხმობს სხვადასხვა ხასიათის ღონისძიებებს, რომელთაგან ერთ-ერთია ჯანმრთელობის სამართლებრივი დაცვა. სსკ კერძო ნაწილის მე-20 თავი ჯანმრთელობის სისხლისსამართლებრივი დაცვის გარანტია. ადრე ამ ჯგუფის დანაშაულებს ეწოდებოდა სხეულის დაზიანება, რაც არასწორი იყო, რადგან ჯანმრთელობის დაზიანება საკუთარ თავში მოიცავს ფსიქიკის დაზიანებასაც. *ჯანმრთელობის დაზიანებად ითვლება ადამიანის სხეულის, მისი ორგანოსა თუ ქსოვილის ანატომიური მთლიანობის ან ფიზიოლოგიური ფუნქციის დარღვევა, ან პათოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გამოწვეულია სხვადასხვა გარე ფაქტორების ზემოქმედებით.*

დაზიანების სიმძიმის მიხედვით აღნიშნული დანაშაული იყოფა სამ ჯგუფად: ჯანმრთელობის მძიმე, ნაკლებად მძიმე და მსუბუქი დაზიანება. დაზიანების სიმძიმის განსაზღვრისთვის სასამართლო ნიშნავს სამედიცინო ექსპერტიზას, თუმცა მისი დასკვნა სასამართლოსთვის არ არის სავალდებულო. თუ დაზარალებულს მიყენებული აქვს სხვადასხვა ხარისხის დაზიანებები, მაშინ კვალიფიკაცია ხდება უფრო მძიმე ხარისხის ჯანმრთელობის დაზიანებით და არა დანაშაულთა ერთობლიობით. ჯანმრთელობის დაზიანებად ჩაითვლება ნებისმიერ ხელყოფა პირზე, რომელმაც მისი ჯანმრთელობის გაუარესება გამოიწვია და ქმედების ჩადენამდე პირის ჯანმრთელობის მდგომარეობას მნიშვნელობა არ აქვს. საკუთარი ჯანმრთელობის დაზიანება დანაშაულად მხოლოდ მაშინ

ჩაითვლება, თუ იგი კანონით დადგენილი მოვალეობისგან თავის არიდებისკენ არის მიმართული.

ადამიანის ჯანმრთელობის დაცვა იწყება დედის ორგანიზმიდან ნაყოფის ნაწილობრივ გამოყოფის, ანუ მშობიარობის პროცესიდან, მანამდე ემბრიონზე ზემოქმედება ქალის ჯანმრთელობის დაზიანებად ითვლება. ჯანმრთელობის დაცვა გრძელდება ფიზიოლოგიურ სიკვდილამდე. ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც მოქმედებით, ისე უმოქმედობით, რომლის დროსაც აუცილებელია მე-8 მუხლით გათვალისწინებული სამი პირობის არსებობა. დანაშაულად არ ითვლება სხვისი ჯანმრთელობის დაზიანება კანონით დაშვებული სპორტული შეჯიბრების დროს, რომელიც გარკვეულ რისკთან არის დაკავშირებული და მასში მონაწილე სპორტსმენს ეს შეცნობილი აქვს. გამონაკლისი გვაქვს მაშინ, როცა იგი განზრახ დაუზიანებს სხვა სპორტსმენს ჯანმრთელობას. ჯანმრთელობის დაზიანება მსხვერპლის თანხმობით ან მისი თხოვნით მხოლოდ მაშინ გამორიცხავს მართლწინააღმდეგობას, როდესაც ხდება ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის ამოღება ტრანსპლანტაციის მიზნით.

ჯანმრთელობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული მატერიალურია - მის დამთავრებულად ცნობისთვის აუცილებელია შესაბამის ნორმაში გათვალისწინებული შედეგის დადგომა ან კონკრეტული საფრთხის შექმნა და ქმედებასა და შედეგს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. თუ ამ კავშირის დადგენა ვერ ხერხდება, მაშინ კვალიფიკაცია ხდება ჯანმრთელობის დაზიანების მცდელობით ან მომზადებით. თუმცა სხვა სიტუაცია გვაქვს ცემის დროს. თუ სახეზეა ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასთან დანაშაულში მონაწილე ყველა პირის ქმედების კავშირი, მაშინ მათი ქმედების კვალიფიკაცია ჯგუფურად ჩადენილი დამთავრებული ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებით ხდება. ჯანმრთელობის დაზიანების ხერხი და საშუალება შეიძლება სხვადასხვა იყოს. მათ მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა უმეტეს შემთხვევებში არ აქვთ. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი შერაცხადი პირი.

სუბიექტური მხრივ ამ დანაშაულის ჩადენა შესაძლებელია როგორც პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით, ისე გაუფრთხილებლობით. პირდაპირი განზრახვა შეიძლება იყოს კონკრეტიზებული, ალტერნატიული და არაკონკრეტიზებული. კონკრეტიზებული განზრახვის დროს პირს სურს კონკრეტულად ერთი შედეგის დადგომა. ალტერნატიული განზრახვის დროს პირს ორი შედეგიდან ერთნაირად სურს ერთ-ერთის დადგომა. არაკონკრეტიზებული განზრახვის დროს პირს სურს ნებისმიერი მძიმე შედეგის დადგომა. ამ ყველა შემთხვევაში ქმედება კვალიფიცირდება შედეგის მიხედვით. ჯანმრთელობის დაზიანების მოტივი და მიზანი მრავალი შეიძლება იყოს, რომელთაგან მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა მხოლოდ რამდენიმეს აქვს.

13. ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება (მ. 117 I & II)

ამ მუხლის დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა. ობიექტური მხრივ ეს დანაშაული გამოიხატება როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. დანაშაულის შემადგენლობა მატერიალურია და ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედებაში, მძიმე შედეგში (ან შედეგის საფრთხეში) და მათ შორის მიზეზობრივ კავშირში. უმოქმედობა მაშინ ჩაითვლება ჯანმრთელობიზ მძიმე დაზიანების განხორციელების პირობად, როცა პირს ეკისრებოდა მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა, ჰქონდა ასეთი მოქმედების შესაძლებლობა და სავალდებულო ან შესაძლებელი მოქმედებით შედეგი თავიდან იქნებოდა აცილებული.

ჯანმრთელობის განზრახ დაზიანება მძიმედ ჩაითვლება მაშინ, როდესაც დაზიანება სახიფათოა სიცოცხლისთვის ან არ არის სახიფათო სიცოცხლისთვის, მაგრამ იწვევს კონკრეტულ მძიმე შედეგს.

1) სიცოცხლისთვის სახიფათო დაზიანებად ითვლება ჯანმრთელობის ისეთი დაზიანება, რომელიც *ზიანის მიყენების მომენტისთვის საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს* და ამდენად, მაშინვე შეიძლება გამოიწვიოს სიკვდილი. შედეგის დადგომას მნიშვნელობა არ აქვს თუ დაზიანებულია სხეულის ის ორგანოები, რომელთა დაზიანებაც სიცოცხლისთვის საშიშს მიეკუთვნება. თუ დაზიანება სახიფათო იყო სიცოცხლისთვის და ამავე დროს გამოიწვია ამ მუხლით გათვალისწინებული რომელიმე შედეგი, მაშინ ბრალდებაში ორივე ფიქსირდება, რაც სასჯელის დანიშვნაზე ახდეს ზეგავლენას.

2) **დაზიანება, რომელმაც გამოიწვია მხედველობის, სმენის, მეტყველობის ან ორმელიმე ორგანოს ან მისი ფუნქციის დაკარგვა.** ამ შემთხვევაში ორგანო შეიძლება ფიზიკურად დაიკარგოს, ან ადგილზე იყოს, მაგრამ არ ფუნქციონირებდეს. მხედველობის დაკარგვად ითვლება როგორც სრული დაბრმავება, ისე მხედველობის ისეთი დაზიანება, როცა პირი ვერ ამჩნევს ახლომდებარე საგნის კონტურებს. ცალი თვალით დაბრმავება ითვლება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებად, რადგან იგი შრომისუნარიანობის დაკარგვას 1/3-ზე მეტად იწვევს. სმენის დაკარგვად ითვლება განუკურნებელი მდგომარეობა, როცა პირს არ შეუძლია გაიგონოს ყურის ნიჟარიდან 3-5 სმ-ის დაშორებით ხმამაღალი საუბარი. ცალ ყურში სმენის დაკარგვა ითვლება ჯანმრთელობის ნაკლებ მძიმ დაზიანებად. მეტყველების დაკარგვად ჩაითვლება პირის ისეთი მდგომარეობა, როცა მას არ შეუძლია თავისი აზრი გასაგებად გადმოსცეს. სხვა რომელიმე ორგანოდ ჩაითვლება ხელი, ფეხი, მტევნები ან სხვა. თუ კიდური მოკვეთილია იდაყვის ან მუხლის სახსრამდე, ითვლება, რომ ეს ორგანო დაკარგულია. სხვა შემთხვევაში კი დაკარგულია ორგანოს ნაწილი, თუმცა ის მაინც ფასდება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად, თუ შრომისუნარიანობის მყარ დაკარგვას გამოიწვევს 1/3-ზე მეტად, ან თუ პირს დაეწყო ძლიერი სისხლდენა.

3) **ფსიქიკური ავადმყოფობა** შეიძლება გამოიწვიოს როგორც ფიზიკურმა (ცემა), ისევე ფსიქიკურმა (დაშინება) ზემოქმედებამ. მნიშვნელობა არ აქვს, ფსიქიკური

ავადმყოფობა მუდმივია თუ დროებითი, თუმცა დროებითი ფსიქიკური აშლილობა, რომელიც მკურნალობას ექვემდებარება, არ ითვლება ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებად. ამ კატეგორიის საქმეზე აუცილებელია სამედიცინო ექსპერტიზა.

4) **სხეულის დაზიანების შედეგად ორსულობის შეწყვეტის** დროს სამართლებრივი დაცვის ობიექტი ქალის ჯანმრთელობასთან ერთად არის ემბრიონის სიცოცხლეც. დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ჯანმრთელობას უზიანებს ორსულ ქალს და ქმედებამ უნდა გამოიწვიოს *ორსულობის ხელოვნური შეწყვეტა*. სხეულის დაზიანება იწვევს ძლიერ სისხლდენას, რომელმაც შესაძლოა გამოიწვიოს სიკვდილი ან ქალის უშვილობა. უკანონო აბორტისგან ეს დანაშაული განსხვავდება დედის თანხმობის არარსებობით და ჯანმრთელობის დაზიანების მეტი საფრთხით. ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუ რამდენი კვირის ორსულობა შეწყდა, თუმცა იგი სასჯელის დანიშვნის დროს მიიღება მხედველობაში. თუ ორსულობის შეწყვეტა ატიპურმა გარემოებამ გამოიწვია, პირს იგი ბრალად არ შეერაცხება. თუ ქალის სხეულის დაზიანებამ *ნაადრევი მშობიარობა* გამოიწვია, რომლის შედეგადაც ბავშვი ნორმალური დაიბადა, ქმედება ამ მუხლით არ კვალიფიცირდება, რადგან ნაადრევ მშობიარობას თან არ ახლავს ნაყოფის უეცარი გამოდევნა, ძლიერი სისხლდენა და პროცესი ბუნებრივად მიმდინარეობს.

5) **სახის წარუშლელი დამახინჯება** არ არის სიცოცხლისთვის სახიფათო, მაგრამ იგი ძლიერ მორალურ ტრავმას აყენებს მსხვერპლს, რომელიც თვითმკვლელობის მიზეზიც ხდება ხოლმე. ამ ნაწილით ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ დაზიანება იყოს სახეზე, იყოს წარუშლელი, ანუ თერაპიული მკურნალობით მის მოსაცილებლად ქირურგიული ჩარევა იყოს საჭირო და იგი ამახინჯებდეს სახეს - იწვევდეს ზიზღს ან სიბრალულს. ამ დანაშაულს ახასიათებს სამედიცინო და იურიდიული ასპექტი - სამედიცინო ექსპერტიზა წყვეტს პირველ ორ საკითხს, ხოლო სახის დამახინჯების საკითხს წყვეტს სასამართლო ესთეტიკური კრიტერიუმებით.

6) **ჯანმრთელობის სხვა ისეთი დაზიანება, რომელიც ა) სახიფათოა სიცოცხლისთვის და ბ) დაკავშირებულია საერთო შრომისუნარიანობის მყარ, არანაკლებ 1/3-ით დაკარგვასთან ან წინასწარი შეცნობით პროფესიული შრომისუნარიანობის სრულ დაკარგვასთან.** თუ ერთ-ერთი პირობა მაინც არ არსებობს, ქმედება ამ მუხლით ვერ დაკვალიფიცირდება. შრომისუნარიანობის მყარი დაკარგვა გულისხმობს მის სამუდამო ან 120 დღის განმავლობაში აღუდგენლობას, რასაც წყვეტს სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. პროფესიული შრომისუნარიანობა მთლიანად უნდა იყოს დაკარგული და არა ნაწილობრივ, დამნაშავეს წინასწარი შეცნობით.

დანაშაულის ჩადენის ხერხი და საშუალება 117-ე მუხლის I ნაწილისთვის ირელევანტურია. ამსრულებელი შეიძლება იყოს ბრალუნარიანი პირი. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მხოლოდ განზრახია. მისი ჩადენა შეიძლება პირდაპირი ან

არაპირდაპირი განზრახვით. იგი მკვლელობის მცდელობისგან სწორედ განზრახვის მიმართულებით განსხვავდება. განზრახვის მიმართულების დასადგენად უნდა შეფასდეს დაზიანების მომენტში და შემდეგ დამნაშავეს ქმედება, მის მიერ ჩადენილი ქმედების ხასიათი. მკვლელობის მცდელობა გვაქვს მაშინ, როდესაც ჭრილობა მდებარეობს გულ-მკერდის არეში, ან მუცელში, მაგრამ არაერთგზის. მოტივსა და მიზანს ამ მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს.

სსკ 117-ე მუხლის მე-2 ნაწილი დამამძიმებელ გარემოებად ითვალისწინებს იმავე ქმედებას, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა. ამ შემთხვევაში ძირითადი შედეგი (ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება) გამოწვეულია განზრახ, ხოლო თანამდევი შედეგი (სიკვდილი) დგება გაუფრთხილებლობით. სსკ მე-11 მუხლის თანახმად, ასეთი დანაშაული განზრახ დანაშაულად ჩაითვლება. ამ ნაწილით კვალიფიკაციისთვის აუცილებელია ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებასა და სიკვდილს შორის მიზეზობრივი კავშირის დადგენა. სამედიცინო შეცდომა განსხვავდება მიზეზობრივი კავშირის ატიპური განვითარებისგან. მას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც მედიცინის მუშაკი ცდება დიაგნოსტიკაში ან მკურნალობის მეთოდებში და ამ დროს სიკვდილის ავტორია ის, ვინც ჯანმრთელობა დაუზიანა მოქალაქეს. აგრეთვე აუცილებელია დადგინდეს სიკვდილის მიმართ დამნაშავეს გაუფრთხილებლობის დადგენა, ანუ იმედოვნებდა თუ არა პირი, რომ სიკვდილი თავიდან იქნებოდა აცილებული. იმის გასარკვევად, დამნაშავეს განზრახვა მკვლელობისკენ იყო მიმართული თუ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისკენ, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დანაშაულის ობიექტური მხარის ყველა ნიშანი - რა ორგანოა დაზიანებული, რა იარაღია გამოყენებული და ა.შ. თუ პირს მოსალოდნელი შედეგის მიმართ არაპირდაპირი განზრახვა ამოძრავებს, იგი კვალიფიცირდება მკვლელობით.

14. სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შემქმნელი დანაშაულების ზოგადი დახასიათება

საფრთხის შემქმნელი დელიქტების კრიმინალიზაციის მიზანი ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელშეუხებლობის უზრუნველყოფაა. ამგვარ დელიქტებში მართლსაწინააღმდეგო შედეგი არც პირდაპირ არის აღწერილი და არც იგულისხმება, ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედების განხორციელებით, რომელიც რეალურ საფრთხეს უქმნის სამართლებრივ სიკეთეს (კონკრეტული საფრთხის დელიქტი) ან გულისხმობს პირობის შექმნას სიკეთის შესაძლო დაზიანებისთვის (აბსტრაქტული საფრთხის დელიქტი). აბსტრაქტული საფრთხის დელიქტებში სსკ აღწერს ქმედებას, რომელიც საზოგადოდ საშიშია, კონკრეტული საფრთხის დელიქტებში კი სსკ ან კონკრეტულად აღწერს საფრთხის შემქმნელ მოქმედებას, ან ახასიათებს მას ბლანკეტურად.

იურიდიულ ლიტერატურაში აღიარებული მოსაზრებით, აბსტრაქტული საფრთხის დელიქტების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირი განზრახვით ხასიათდება, კონკრეტული საფრთხის დელიქტი კი განზრახვის ორივე ფორმით და გაუფრთხილებლობითაც. გაუფრთხილებლობითი საფრთხის დელიქტების არსებობა განპირობებულია მომეტებული საფრთხის წყაროების გამოყენებისას უსაფრთხოების წესების დაცვის საჭიროებით. კონკრეტული საფრთხის დელიქტების შექმნისას კანონმდებლის მიზანია იმ პირთა პასუხისმგებლობა, რომელთაც მოასლოდნელი საზიანო შედეგის მიმართ ევენტუალური განზრახვა ან გაუფრთხილებლობა აქვთ. თუ პირს გააჩნია პირდაპირი განზრახვა, ის დაისჯება მცდელობისთვის.

15. სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში ჩაყენება (მ. 127)

სსკ 127-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული საფრთხის შემქმნელ დელიქტს წარმოადგენს და ითვალისწინებს საფრთხის შექმნას ადამიანის სიცოცხლისთვის. დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება გამოიხატოს სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობის შექმნით იმ პირისთვის, ვისაც შესაძლებლობა არ აქვს მიიღოს ზომები თავის დასაცავად საკუთარი უმწეობის, ასაკის და ა.შ. გამო, ანუ ისეთ მოქმედებას, რომელიც ქმნის ადამიანის სიცოცხლისთვის რეალურ და კონკრეტულ საფრთხეს. დანაშაული დამთავრებულია იმ მომენტიდან, როდესაც ადამიანის სიცოცხლე საფრთხეში აღმოჩნდება. მისი ამსრულებელი შეიძლება იყოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ასაკს მიღწეული ნებისმიერი ფიზიკური პირი. დანაშაულის სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას, რომელიც გულისხმობს მხოლოდ საფრთხის შექმნას და არა სიკვდილს.

16. განსაცდელში მიტოვება (მ. 128)

განსაცდელში მიტოვება ითვალისწინებს სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანის დაუხმარებლობას იმის მიერ, ვისაც ევალებოდა მასზე ზრუნვა და შეეძლო მისი დახმარება. სს დაცვის უშუალო ობიექტია იმ ადამიანის სიცოცხლე, ვინც სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში იმყოფება და შესაძლებლობა არ აქვს, მიიღოს ზომები თავის დასაცავად, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს ავადმყოფობით ან სხვა მიზეზით. განსაცდელში მიტოვების დროს დამნაშავე არ ეხმარება იმას, ვინც უკვე იმყოფება სიცოცხლისთვის საშიშ მდგომარეობაში დამნაშავეს ნების გარეშე ან მისი მოქმედებით, ოღონდ განზრახვის გარეშე. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, რომელიც გულისხმობს შემდეგი პირობების არსებობას: ა) ადამიანი იმყოფება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში და შესაძლებლობა არა აქვს მიიღოს

ზომები თავის დასაცავად) განსაცდელში მიმტოვებელს ევალება დაზარალებულზე ზრუნვა და შეუძლია მისი დახმარება. განსაცდელში მყოფი ადამიანისთვის დახმარების სპეციალური ვალდებულება შეიძლება გამომდინარეობდეს უშუალოდ კანონიდან, არჩეული პროფესიიდან ან პირის წინარე ქმედებიდან ან ხელშეკრულებიდან. დახმარების შესაძლებლობის არქონა გამოირიცხავს პასუხისმგებლობას. რისკი, რომელიც თან ახლავს დამხმარებას, გაამართლებს დამნაშავეს უმოქმედობას, თუ მისთვის სახიფათოა.

განსაცდელში მიტოვება ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია და დამთავრებულად ითვლება იმ მომენტიდან, როდესაც პირმა არ შეასრულა წარმოშობილი დახმარების აღმოჩენის მოვალეობა. 128-ე მუხლით პირი მაშინაც დაისჯება, თუ ის სათანადო დახმარების აღმოჩენითაც ვერ გადაარჩენდა დაზარალებულის სიცოცხლეს, რადგან პასუხისმგებლობის საფუძველი დაუხმარებლობის ფაქტია. დანაშაულის ამსრულებელი მხოლოდ ისაა, ვისაც მოქმედების სპეციალური სამართლებრივი მოვალეობა აკისრია. სუბიექტური მხარე გამოიხატება განზრახვაში. დაუხმარებლობის მოტივს მნიშვნელობა არ აქვს. გამოირიცხულია სიკვდილის მიმართ პირდაპირი განზრახვა.

17. დაუხმარებლობა (მ. 129)

ეს ნორმა სამართლებრივ ვალდებულებად აქცევს ურთიერთდახმარების ზოგადმოქალაქეობრივ მოვალეობას. ობიექტური მხარე გამოიხატება უმოქმედობაში, სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და აშკარად გადაუდებელი დამხმარების გაუწევლობაში ან დახმარების საჭიროების შეუტყობინებლობაში სათანადო ორგანოს ან პირისთვის. ადამიანის სიცოცხლისათვის საფრთხე უშუალო და რეალური, დახმარების საჭიროება კი აუცილებელი უნდა იყოს, ანუ ადამიანს დამოუკიდებლობად არ შეეძლოს მდგომარეობიდან გამოსვლა. დაუხმარებლობა დანაშაულად ჩაითვლება, თუ დამნაშავეს შეეძლო მისი დახმარება თავისი ან სხვისი სამართლებრივი სიკეთეებისთვის სერიოზული საფრთხის შექმნის გარეშე. სათანადო დაწესებულებაში იგულისხმება ორგანო, რომლის მოვალეობაშიც შედის სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფისთვის აუცილებელი და გადაუდებელი დამხმარების გაწევა, სხვა პირი კი შეიძლება იყოს სპეციალური ცოდნის, თანამდებობის მქონე ან სხვა პირი, ვისაც შეუძლია ან ევალება ადამიანის დახმარება. დაუხმარებლობა ფორმალური შემადგენლობის მქონე დანაშაულია. იგი წარმოადგენს წმინდა უმოქმედობას და თავად დახმარების აღმოუჩენლობის ფაქტი დამთავრებული დანაშაულია. მძიმე შედეგის დადგომა ზემოქმედებას მოახდენს არა კვალიფიკაციაზე, არამედ სასჯელზე. დაუხმარებლობა განსაცდელში მიტოვებისგან განსხვავდება დახმარების სამართლებრივი ვალდებულების არარსებობით. სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას -

დამნაშავეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ ადამიანის სიცოცხლე საფრთხეშია, შეუძლია მისი დახმარება და გულგრილად ეკიდებოდეს ამ მოვალეობას.

18. ავადმყოფის განსაცდელში მიტოვება (მ. 130)

დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება სიცოცხლისათვის საშიშ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვის არასაპატიო მიზეზით მედიცინის მუშაკის მიერ გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გაუწევლობაში. ამ შემადგენლობის განხორციელება მხოლოდ უმოქმედობით შეიძლება. გადაუდებელი სამედიცინო დახმარება გულისხმობს ისეთ სამედიცინო დახმარებას, რომლის გარეშეც გარდაუვალია პაციენტის სიკვდილი, დაინვალიდება ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესება. ექიმი მოვალეა აღმოუჩინოს პაციენტს სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს მისი უწყვეტობა როგორც სამუშაო, ისე არასამუშაო დღეებზე. პასუხისმგებლობის საკითხი არ დადგება, თუ დაუხმარებლობის მიზეზი საპატიო იყო - მოვალეობათა კოლიზია, ობიექტური დამაბრკოლებელი გარემოების არსებობა, უტრანსპორტობა, სამკურნალო საშუალების არარსებობა და სხვა. არასაპატიო მიზეზია არასამუშაო საათების, შვებულების არსებობა, ღონისძიებაზე წასვლის სურვილი ან უმუშევრობა. ექიმის ვალდებულება ასევე მოიცავს პაციენტის ან მისი წარმომადგენლისთვის შეტყობინებას, სად შეუძლია მიიღოს მომსახურება თუ თავად არ შეუძლია გაუწიოს იგი. ამ დანაშაულის ამსრულებელია მედიცინის მუშაკი, რაც გულისხმობს უმაღლესი და საშუალო სამედიცინო განათლების მქონე დიპლომიან პირებს, რომლებიც ეწევიან სამედიცინო საქმიანობას. სუბიექტური მხარე მოიცავს განზრახვას, რომელიც ვრცელდება მხოლოდ დახმარების აღმოუჩენლობაზე და არა შედეგზე. შედეგის მიმართ სუბიექტური დამოკიდებულება ყოველთვის გაუფრთხილებლობაა.

19. შიდსის შეყრა (მ. 131 I II & III)

იმუნოდეფიციტის სინდრომი (შიდსი) სოციალურად ერთ-ერთი ყველაზე საშიში და განუკურნელი დავადებაა. საქართველოში შიდსთან ბრძოლის ძირითად პრინციპებსა და სხვა ძირითად საკითხებს აწესრიგებს კანონი „ადამიანის იმუნოდეფიციტის ვირუსით ინფექციის/შიდსის პროფილაქტიკის შესახებ“. ხელყოფის ობიექტად მიიჩნევენ ადამიანის ჯანმრთელობას, თუმცა შესაძლებელია სიცოცხლის განხილვაც. ამ ვირუსის გავრცელება ხდება სექსუალური კავშირით, ინფიცირებული სისხლის გადასხმით, დედის რძით. სხვისთვის შიდსის შეყრა შესაძლებელია არამხოლოდ სქესობრივი კავშირით, არამედ წინდახედულობის სხვა ნორმების დარღვევითაც. დანაშაული დამთავრებულია სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნის მომენტიდან. ამსრულებელი შეიძლება იყოს

ნებისმიერი ბრალუნარიანი პირი, რომელმაც იცის, რომ შიდსით არის დაავადებული. სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას. მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს პირისთვის შიდსის ფაქტობრივ შეყრას, რომელიც მკვლელობისგან განსხვავდება სიცოცხლის მოსპობის მიზნის არარსებობიდან, გარდა ამისა, სიკვდილი დგება ხანგრძლივი დროის გასვლის შემდეგ. მესამე ნაწილი გულისხმობს სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრას პროფესიული მოვალეობის შესრულებისას. სუბიექტი შეიძლება იყოს მედიცინის მუშაკი, რომელიც არღვევს პროფესიული წინდახედულობის ნორმებს. ეს ნაწილი მხოლოდ გაუფრთხილებლობას გულისხმობს. მუხლის მეოთხე ნაწილი მოიცავს დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა შიდსის შეყრის საფრთხის შექმნა ან შეყრა ორი ან მეტი პირისთვის ან წინასწარ შეცნობით ორსული ქალისთვის ან არასრულწლოვნისთვის.

20. უკანონო აბორტი (მ. 133)

აბორტი, ანუ ორსულობის ხელოვნურად შეწყვეტა ლეგალიზებულია. უკანონო აბორტი საფრთხეში აგდებს ქალის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს, თუმცა იგი ორსული ქალის თანხმობით ხდება. მისი თანხმობის გარეშე ორსულობის შეწყვეტა მართლზომიერია უკიდურესი აუცილებლობისას. აბორტი უკანონოა, როდესაც ის კეთდება კანონით დადგენილი წესის საწინააღმდეგოდ. ორსულობის ნებაყოფლობით შეწყვეტა ნებადართულია სამედიცინო დაწესებულებაში ლიცენზირებული ექიმის მიერ, თუ ორსულობის ხანგრძლივობა არ აღემატება 12 კვირას და ორსულს ოპერაციამდე 3 დღით ადრე ჩაუტარდა გასაუბრება. გასაუბრების დროს ექიმი უპირატესობას ანიჭებს ნაყოფის სიცოცხლის დაცვას, თუმცა არჩევანს ქალი აკეთებს. 12 კვირის გასვლის შემდეგ აბორტი ნებადართულია მხოლოდ სამედიცინო ან სოციალური ჩვენების შემთხვევაში. უარყოფილია ეთიკური და ევგენური ჩვენება.

აბორტი უკანონოდ ჩაითვლება თუ დარღვეულია რომელიმე ეს მოთხოვნა, ან დარღვეულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. აბორტი უკანონოა როცა არსებობს აბორტის საწინააღმდეგო ჩვენება. ორსულობის შეწყვეტის ხერხს ქმედების მართლწინააღმდეგობის შეფასებისთვის მნიშვნელობა არ აქვს. დანაშაული დამთავრებულია დედის ორგანიზმიდან ნაყოფის გამოდევნის მომენტში. ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი ბრალუნარიანი პირი. სუბიექტური მხარე გულისხმობს განზრახვას. მოტივი შეიძლება იყოს ანგარება, სიბრაღული და სხვა. უკანონო აბორტის მაკვალიფიცირებელი გარემოებებია: იმავე ქმედების ჩადენა უკანონო აბორტისთვის მსჯავრდებულის მიერ, ან რამაც გამოიწვია შვილოსნობის სამუდამო მოშლა ან სხვა მძიმე შედეგი. სხვა მძიმე შედეგი შეიძლება გამოიხატოს ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებაში. 133-ე მუხლის მესამე ნაწილი პასუხისმგებლობას ამძიმებს ქალის სიცოცხლის მოსპობის

შემთხვევაში. ამ დროს აუცილებელია მიზეზობრივი კავშირის დადგენა უკანონო აბორტსა და დამდგარ შედეგებს შორის. დამდგარი შედეგი წარმოადგენს თანამდევ შედეგს, რასაც 11-ე მუხლი ითვალისწინებს. თუ აბორტი განხორციელდა მართლზომიერად, მაგრამ შედეგი დადგა დაუდევრობით, ექიმი პასუხს აგებს გაუფრთხილებლობით ჯანმრთელობის დაზიანების ან სიცოცხლის მოსპობისთვის.

21. გაუპატიურება (მ.137)

გაუპატიურება ყველაზე საშიში სქესობრივი დანაშაულია, რომელიც სხვისი პატივის უხეშ შელახვას უკავშირდება. სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტია პირის სქესობრივი თავისუფლება და ხელშეუხებლობა. *სქესობრივი ხელშეუხებლობა* ნიშნავს, რომ კონკრეტულ პირთან (მცირეწლოვანთან) სქესობრივი კავშირი კანონით აკრძალულია მისი თანხმობის შემთხვევაშიც კი. დამატებითი ობიექტი შეიძლება იყოს პირის ჯანმრთელობა, სიცოცხლე და არასრულწლოვნის ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. ამ დანაშაულის მსხვერპლი ქალთან ერთად მამაკაციც შეიძლება იყოს. მნიშვნელობა არ აქვს, რა დამოკიდებულება ჰქონდა დაზარალებულს დამნაშავესთან ან როგორია დაზარალებულის მორალური სახე. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში - სქესობრივი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით, ან დაზარალებულის უმწეობის გამოყენებით. გაუპატიურების შემადგენლობას ვერ მოგვცემს ძალადობა, ძალადობის მუქარა ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება, თუ მას თან არ ახლავს სქესობრივი კავშირი. თუ ეს ქმედებები მიმართულია ამგვარი კავშირის დასამყარებლად, ქმედება კვალიფიცირდება გაუპატიურების მომზადებად ან მცდელობად. სქესობრივი კავშირი ნიშნავს ფიზიოლოგიურ აქტს ქალსა და მამაკაცს შორის სასქესო ორგანოების მეშვეობით. ყოველგვარი სხვა ქმედება შეიძლება შეფასდეს გაუკუღმართებული ფორმით ჩადენილ სექსუალურ კონტაქტად (მ. 138).

137-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, გაუპატიურებისას სქესობრივი კავშირის დაჭერა შესაძლებელია სამი სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. პირველი მათგანია **ძალადობა**, რომელიც შეიძლება განხორციელდეს ცემით, პირის ახვევით, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანებით. თუ იგი ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებას იწვევს, მაშინ ის სცილდება ამ მუხლის შემადგენლობას. ქმედება კვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით, თუ დაზიანება მიყენებულია იარაღით, რომელსაც პირი უკანონოდ ატარებს, სახეზე გვაქვს დანაშაულთა ერთობლიობა. თუ პირმა მსხვერპლი ძალადობის გამოყენებით ჩააყენა უმწეომდგომარეობაში და შემდეგ დაამყარა კონტაქტი, მას ბრალად წაეყენება გაუპატიურება ძალადობის გამოყენებით. ფიზიკური ძალადობა ამ დროს დაზარალებულის წინააღმდეგობის დათრგუნვის საშუალებაა, რომელიც შეიძლება მიმართული იყოს სხვა პირის წინააღმდეგაც, ვისი ბედიც დაინტერესებულია

დაზარალებული, ან ვინც ცდილობდა მისთვის ხელის შეშლას. **ძალადობის მუქარა**, ანუ ფსიქიკური ძალადობა, შეიძლება განხორციელდეს სიტყვით ან კონკლუდენტური მოქმედებით (იარაღის ტარებით), რაც გამოიხატება მკვლელობის, ჯანმრთელობის დაზიანების, სხვა პირის გაუპატიურების მუქარაში, რომელიც უნდა იყოს იმწუთიერი და რეალური (უნდა არსებობდეს მისი განხორციელების საფუძველი). ძალადობის მუქარაა ქმედება, როდესაც პირი დაზარალებულისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ქონების დაუყოვნებლივი განადგურებით იმუქრება. აპირებდა თუ არა დამნაშავე მუქარის განხორციელებას, უმნიშვნელოა. მთავარია, მუქარის რეალურობამ მოახდინოს დაზარალებულის ნების პარალიზება. თუ ძალადობის მუქარა მიმართულია მომავლისკენ, ის კვალიფიცირდება 139-ე ან 150-ე მუხლებით. თუ ძალადობის მუქარა უშუალოდ მიმართული არ იყო სქესობრივი კავშირის დამყარებისკენ, არამედ მხოლოდ პირობებს ქმნიდა გაუპატიურებისთვის, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს გაუპატიურების მომზადებით. თუ ძალადობის მუქარა ან ძალადობა განხორციელდა, მაგრამ პირმა ვერ შეძლო სქესობრივი კავშირის დამყარება, ქმედება კვალიფიცირდება, როგორც გაუპატიურების მცდელობა. დაზარალებულის **უმწეო მდგომარეობის გამოყენება** ეხება იმ პირებს, ვისაც არ აქვს უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს დამნაშავეს ასაკის, ფიზიკური მდგომარეობის ან სიმთვრალის გამო ან არ აქვს უარი შეიმეცნოს, რა ხდება მის თავს სულით ავადმყოფობის, გონებასუსტობის, ღრმა ძილის გამო. თუ პირი უმწეო მდგომარეობაში არასრულწლოვნების გამოა, მაშინ იგი დაზარალებულს წარმოადგენს 137-ე მუხლის მე-5 ნაწილის გაგებით.

ქმედების 137-ე მუხლის 1-ლი ნაწილით კვალიფიცირებისთვის მნიშვნელობა არ აქვს, დაზარალებულმა თვითონ ჩაიგდო თავი, თუ დამნაშავემ მიიყვანა იგი უმწეო მდგომარეობაში. დაზარალებულის უმწეო მდგომარეობაში მოყვანის ფაქტი არის ამ ნაწილის შემადგენლობის მიღმა, ამიტომ **ძალადობის გარეშე უმწეო მდგომარეობაში მოყვანა გვაძლევს მომზადებას** და არა მცდელობას. დანაშაულის შემადგენლობას არ გვაძლევს სქესობრივი კავშირის დაჭერა მოტყუებით (ქორწინების დაპირებით).

გაუპატიურება დამთავრებულად ჩაითვლება სხვადასხვა ხერხის გამოყენებით სქესობრივი კავშირის დაწყების მომენტიდან და მნიშვნელობა არ აქვს, მიიყვანს თუ არა აქტს ბოლომდე, რადგან სქესობრივი აქტის დაწყებისას უკვე შელახულია ადამიანის სქესობრივი თავისუფლება. ამიტომ შესაძლებელია გაუპატიურება მივიჩნიოთ ფორმალურ დანაშაულად, თუმცა კანონმდებელი ამ პოზიციას არ ეთანხმება. როდესაც დამნაშავემ მუქარის ან ძალადობის ჩადენის შემდეგ ნებაყოფლობით აიღო ხელი გაუპატიურების ჩადენაზე, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება მხოლოდ იმ დანაშაულისთვის, რომელსაც შეიცავს მისი ქმედება. სუბიექტური მხრივ გაუპატიურება ჩადენილია მხოლოდ პირდაპირი განზრახვით - პირს გაცნობიერებული აქვს, რომ იყენებს ძალადობას, მუქარას ან დაზარალებულის უმწეობას და ამყარებს მასთან სქესობრივ

კავშირს დაზარალებულის უმწეობას და ამყარებს მასთან სქესობრივ კავშირს დაზარალებულის ნების საწინააღმდეგოდ და სურს ეს. მოტივსა და მიზანს მნიშვნელობა არ აქვს.

22. სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება (მ. 139)

ამ დანაშაულის ობიექტია პირის სქესობრივი თავისუფლება ან ხელშეუხებლობა, დამატებითი ობიექტი შეუძლება იყოს ადამიანის პატივი და ღირსება. დაზარალებული შეიძლება იყოს როგორც სრულწლოვანი, ისე არასრულწლოვანი ქალი და მამაკაცი. ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება როგორც მოქმედებაში (სახელგამტეხი ცნობების გახმაურების ან ქონებრივი დაზიანების მუქარა), ისე უმოქმედობაში (მატერიალური, სამსახურებრივი ან სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით იძულება). ეს დანაშაული ფორმალური შემადგენლობისაა და დამთავრებულია იძულების რომელიმე ხერხის გამოყენებისთანავე, მნიშვნელობა არ აქვს დამნაშავე დაამყარებს თუ არა სქესობრივ კონტაქტს. სახელგამტეხი ცნობების გახმაურება გამოიხატება ისეთი ცნობის გაცემის მუქარაში სხვა პირისთვის, რაც სახელს უტეხს დაზიანებულს, მნიშვნელობა არ აქვს ეს ცნობა ნამდვილია, თუ გამოგონილი, მუქარა იმწუთიერია თუ მომავლისკენაა მიმართული. თუ ეს მუქარა პირმა განახორციელა, ქმედება დაკვალიფიცირდება 139-ე და 373-ე მუხლების ერთობლიობით. ქონებრივი დაზიანების მუქარა გულისხმობს აქტიურ ფსიქიკურ ზემოქმედებას დაზარალებულზე უძრავი ან მოძრავი ნივთის დაზიანების, აგრეთვე განადგურების მიზნით. ეს ქონება უნდა იყოს მნიშვნელოვანი დაზარალებულისთვის. თუ მუქარა განხორციელდა, ქმედება დაკვალიფიცირდება 139-ე და 187-ე მუხლებით. დამნაშავესთან მატერიალური დამოკიდებულება არსებობს როდესაც დაზარალებული არსებობისთვის აუცილებელ სახსრებს დამნაშავესაგან ღებს. სწორედ ამგვარ დამოკიდებულებას იყენებს პირის იძულებისთვის. იძულებად არ ჩაითვლება მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შეთავაზება. თუ შეთავაზებაზე უარის თქმის შემდეგ დამნაშავე შეწყვეტს დაზარალებულზე ზრუნვას, სახეზე გვექნება უმოქმედობით ჩადენილი დანაშაული. დანაშაული შესაძლოა ჩადენილ იქნას სამსახურებრივი დამოკიდებულების გამოყენებითაც, თუმცა პირებს სამსახურებრივი ურთიერთობა დამყარებული უნდა იყოს. თუ დანაშაულის სუბიექტი ხელმძღვანელი პირია, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. სხვაგვარ დამოკიდებულებაში იგულისხმება მასწავლებლისა და მოსწავლის და ამგვარი დამოკიდებულებები, როცა პირის მდგომარეობა და მომავალი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული დამნაშავეზე. თუ მუქარა სამომავლოა, ქმედება 150-ე მუხლით კვალიფიცირდება. დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი პირი. სუბიექტური მხრივ დანაშაული ჩადენილია პირდაპირი განზრახვით, სექსუალური ხასიათის მოტივით და სქესობრივი კავშირის დამყარების

მიზნით. დამამძიმებელი გარემოებაა იგივე ქმედება ჩადენილი არასრულწლოვნის მიმართ. თუ სქესობრივი კონტაქტი წინასწარ შეცნობით 16 წელს მიუღწეველთან მყარდება, ქმედება კვალიფიცირდება სსკ 139-ე და 140-ე მუხლების ერთობლიობით

23. სქესობრივი კავშირი 16 წელს მიუღწეველთან (მ. 140)

დანაშაულის ობიექტია 16 წელს მიუღწეველი პირის სქესობრივი ხელშეუხებლობა, მისი ნორმალური ზნეობრივი და ფიზიკური განვითარება. 16 წლის ასაკამდე მოზარდთან სქესობრივ კავშირი ზნეობრივი თვალსაზრისით ხელს უწყობს მის გარყვნას, ხოლო ბიოლოგიურად კი - მის ნორმალურ ფიზიკურ განვითარებას. ეს დანაშაული განსხვავდება გაუპატიურებისა და სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედებისგან დაზარალებულის თანხმობის არსებობით, გარდა ამისა, დაზარალებული არ იმყოფება უმწეო მდგომარეობაში. ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება მოქმედებაში - ნებელობით სქესობრივ კავშირსა ან სხვაგვარ კონტაქტში 16 წელს მიუღწეველ პირთან. დანაშაულის ამსრულებელია სრულწლოვანი პირი. დანაშაული დამთავრებულად ითლება მაშინ, როდესაც პირი დაიწყებს სქესობრივ კავშირს. თუ ამგვარი კონტაქტი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით ხდება, ქმედება კვალიფიცირდება 137-ე ან 138-ე მუხლით. უმწეო მდგომარეობა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა გადაწყდეს იმის მიხედვით, ჰქონდა თუ არა შეგნებული მოზარდს (განსაკუთრებით, 10 წელს გადაცილებულს) სქესობრივი კონტაქტის არსი და მისი შედეგები. დანაშაული სახეზე გვაქვს მაშინაც, როცა სრულწლოვანი ცოლად ირთავს 16 წლამდე მიუღწეველ მოზარდს. დანაშაული არ გვაქვს მაშინ, თუ მოზარდისთვის სქესობრივი კონტაქტი ცხოვრების ჩვეულებრივი წესია. თუ სრულწლოვანმა ჯერ გაუპატიურა დაზარალებული და შემდეგ დაითანხმა სქესობრივ კავშირს, ქმედება კვალიფიცირდება ერთობლიობით. თუ ამსრულებელი არასრულწლოვანია, დანაშაულის შემადგენლობა არ გვაქვს.

24. თავისუფლების უკანონო აღკვეთა (მ. 143 I)

საქართველოს კონსტიტუციით ადამიანებს აქვთ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი მიმოსვლისა და საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება, გარდა ამისა, არავის აქვს უფლება, თავისუფლება აღუკვეთოს ან სხვაგვარად შეუზღუდოს იგი პირს სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. შესაბამისად, ამ დანაშაულის ძირითადი ობიექტია ადამიანის ხელშეუხებლობა და მისი თავისუფალი გადაადგილების უფლება, ხოლო ფაქულტატურ ობიექტს წარმოადგენს სხვა პირის სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ღირსება. ობიექტური შემადგენლობა შეიძლება გამოიხატოს როგორც მოქმედებაში, ისე უმოქმედობაში. დანაშაული დამთავრებულია სხვა პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთის მომენტიდან და აუცილებელი არაა, რომ ქმედებას მოჰყვეს რაიმე მძიმე შედეგი. თავისუფლების აღკვეთა უკანონოა მაშინ, როდესაც მას არც

პროფესიული საქმიანობა და არც სხვა გარემოება არ ამართლებს. თავისუფლების აღკვეთა შეიძლება მოხდეს მოტაცებითაც, რაც ნიშნავს პირის იძულებით გადაადგილებას ერთი ადგილიდან სხვა მიმართლებით. დანაშაულის ჩადენის ხერხი შეიძლება იყოს ადამიანის მოტყუებით, ისეთი ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, რომელიც არაა საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის, კარების ჩაკეტვით. დანაშაული დამთავრებულია მაშინვე, როდესაც პირს ერთმევა თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა, რომლის ხანგრძლივობასაც ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. თავისუფლების უკანონო აღკვეთა დენადი დანაშაულია, მისი ხანგრძლივობა მხედველობაში მიიღება სასჯელის დანიშვნისას. დენადი ბუნების გამო შესაძლებელია მასში როგორც თანამონაწილეობა, ისე თანაამსრულებლობა. თავისუფლების უკანონო აღკვეთა არ გვაქვს იმ შემთხვევაში, თუ პირს ემუქრებიან, მაგრამ მას არ აქვს წართმეული თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა ან ეს მუქარა არ არის იმწუთიერი. დანაშაულის ამსრულებელი არ შეიძლება იყოს სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენელი, როდესაც იგი იყენებს თავის სამსახურებრივ უფლებამოსილებას, რადგან მისი ქმედება კვალიფიცირდება 147-ე მუხლით. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია. მოტივსა და მიზანს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, თუმცა უნდა გამოირიცხოს მიზანი, რაც მძევლად ხელში ჩაგდებას ახასიათებს. ასევე არ წარმოადგენს თავისუფლების უკანონო აღკვეთას პედაგოგიური ან ნათესაური გრძნობით განპირობებული ქმედება.

25. ადამიანით ვაჭრობა (143¹ I & შენიშვნა)

ადამიანებით ვაჭრობა დიდი ხანია წარმოადგენს საერთაშორისო ხასიათის პრობლემას. ამ დანაშაულის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით აღიარებული თავისუფალი მიმოსვლის უფლება, თავისუფლების ხელშეუვალობა, პატივისა და ღირსების ხელშეუხებლობა და სხვა უფლებები. ფაკულტატურ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. დანაშაულის ობიექტური მხარე შეიძლება რამდენიმე ჯგუფად დაიყოს: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა ხელში ჩაგდება (ყიდვა, სხვაგვარი უკანონო გარიგების განხორციელება, გადაბირება), მათი თავმოყრა (გადამალვა, გადაცემა) და მათი გადაყვანა ან ტრანსპორტირება. ამდენად, სახეზეა რთული შემადგენლობა ალტერნატიული ქმედებით (ერთიანი დანაშაული). ადამიანის *ყიდვა*, ისევე როგორც *გაყიდვა* შეიძლება მოხდეს ფულის გადახდით, რაიმე ნივთში გაცვლით, რის შემდეგაც ადამიანი გადადის მყიდველის განკარგულებაში. ყიდვა-გაყიდვა დამთავრებულია გადაცემის მომენტში. ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგებას წარმოადგენს შემძენის შეპირება გამსხვისებლის მიმართ რაიმე სახის შემოსავალზე. აუცილებელია, რომ ეს გარიგება განხორციელდეს მსხვერპლის მიმართ და არა მასთან. ტრეფიკინგი წარმოადგენს ფორმალურ დანაშაულს და დამთავრებულია ნორმაში ჩამოთვლილი ქმედებებიდან ერთ-ერთის ჩადენისთანავე. იგი შეიძლება ჩადენილ იქნას

როგორც ქმედებით, ისე უმოქმედობით (გადამალვა). ადამიანით ვაჭრობის ობიექტური მხარის ნიშანია დანაშაულის ჩადენის სხვადასხვა ხერხები: *მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ანდა სარგებლის მიცემით ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.* მუქარა ნიშნავს ფსიქიკურ იძულებას, რაც გამოიხატება ცემის, მოტაცებისა და სხვაგვარი ძალადობის მუქარაში და დამთავრებულია მუქარის განხორციელების მომენტიდან. თუ მუქარა სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საშიშია, ქმედება დაკვალიფიცირდება ამ მუხლის მე-3 ნაწილით. ძალადობა ნიშნავს ადამიანზე ფიზიკურ ზემოქმედებას სხვადასხვა აგრესიული ქმედებით. *იძულების სხვა ფორმაში* იგულისხმება დაზარალებულის სისტემატური დამცირება, აბუჩად აგდება, რათა ის იძულებული გახდეს, დაემორჩილოს ექსპლუატაციის გაწევას. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს მესამე პირის მიმართაც, რომელიც ხელს უშლის ტრეფიკინგის განხორციელებას. *მოტაცებაში* იგულისხმება პირის ნების საწინააღმდეგოდ, დამნაშავის სასურველი მიმართულებით მისი გადაადგილება. მოტაცება დამთავრებულია დაძვრის მომენტიდან. *შანტაჟი* წარმოადგენს სახელის გამტეხი ცნობების გახმაურების მუქარას. არ აქვს მნიშვნელობა, ეს ცნობები მოგონილია თუ რეალური. *თაღლითობა* ადამიანით ვაჭრობის ხერხია მაშინ, როდესაც პირი მოტყუებით ეუფლება სხვის ნივთს და შემდეგ მის დასაბრუნებლად აბამს ექსპლუატაციაში. თაღლითობა არ არსებობს მოტყუების გარეშე. *მოტყუების* დროს ადამიანი შეცდომაში შეჰყავთ სხვადასხვა დაპირებით და ამის შედეგად აბამენ ექსპლუატაციაში. *უმწეო მდგომარეობის* გამოყენება გულისხმობს ისეთ შემთხვევას, როდესაც უმწეო მდგომარეობაში იმყოფება ამსრულებელი, რომელიც ამ მდგომარეობას იყენებს პირის ტრეფიკინგში ჩასართავად, *ძალაუფლების ბოროტად გამოყენება* გულისხმობს მხოლოდ კრიმინალურ ავტორიტეტს, რადგან სხვა სახის ძალაუფლება გათვალისწინებულია ამ მუხლის მეორე ნაწილით. ამ დროს კვალიფიკაცია ხდება ასევე 223¹ ან 224¹ მუხლით. *საზღაურის ან სარგებლის მიცემა ან მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია* გულისხმობს პირისთვის ფულის ან ნივთების გადაცემას ან მომსახურების უფასოდ გაწევას იმისათვის, რომ მან დაითანხმოს სხვა პირი ტრეფიკინგში ჩაბმაზე. ეს ხერხები მიმართულია იმ ქმედებების განსახორციელებლად, რომელსაც მოიცავს ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობა: *გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება და მიღება.* *გადაბირება* ნიშნავს პირის დაყოლიებას ექსპლუატაციაზე. *გადაყვანა* ნიშნავს პირის წაყვანას თავისი საცხოვრებელიდან იმ ადგილისკენ, სადაც მოხდება მისი ექსპლუატაციაში ჩაბმა. გადაყვანის დროს პირი ხელს უწყობს მსხვერპლს საჭირო დოკუმენტაციის შეგროვებაში და შესაძლოა თავადაც ახლდეს თან. *გადამალვის* დროს პირი მალავს ადამიანს ზემოთ მითითებული ხერხების

გამოყენებით, რათა მომავალში ჩააბას ექსპლუატაციაში. გადამალვა მოიცავს ადამიანის თავისუფლების უკანონო აღკვეთასაც და დამატებით კვალიფიკაციას არ საჭიროებს. დაქირავება გულისხმობს არა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის დამყარებას, არამედ ისეთ შემთხვევას, როდესაც ადამიანი ქირავდება, როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა მის 'მესაკუთრეს'. დაქირავებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც პირს ეძლევა აშკარად არაადეკვატური ანაზღაურება. ტრანსპორტირება გულისხმობს ტრეფიკინგის მსხვერპლის გადაყვანას ერთი პუნქტიდან მეორეში. ამსრულებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საქმის არსი. გადაცემა ნიშნავს ამ დანაშაულის მსხვერპლის ჩაბარებას სხვა პირზე თუნდაც დროებითი გადამალვისთვის სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით. ქმედება დამთავრებულია გადაცემისთანავე. შეფარება ნიშნავს არა ადამიანის ხიფათიდან დაცვას, არამედ მისთვის სამყოფელის მიცემას სამომავლო ექსპლუატაციის მიზნით. ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით გულისხმობს პირის მიერ უკვე გადაბირებული ადამიანის მიღებას. ტრეფიკინგში შემავალი ამ ქმედებათა ჯაჭვი შეიძლება განხორციელებულ იქნას როგორც ერთი, ისე სხვადასხვა ამსრულებლის მიერ. ამსრულებულია 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. მნიშვნელობა არ აქვს ქმედების ჩადენის შემდეგ მოჰყვება თუ არა მას მსხვერპლის ექსპლუატაციაში ჩაბმა. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული არის განზრახი. მოტივი შეიძლება იყოს შური, ანგარება და სხვა. მიზანს უმეტეს შემთხვევაში მაკვალიფიცირებელი მნიშვნელობა აქვს (მხოლოდ ყიდვა-გაყიდვის დროს არ ექცევა მიზანს ყურადღება და ქმედება ადამიანით ვაჭრობად კვალიფიცირდება. სხვა შემთხვევებში აუცილებელია არსებობდეს ექსპლუატაციის მიზანი) და წარმოადგენს პირის ექსპლუატაციას. ამ მუხლის შენიშვნის თანახმად ექსპლუატაციად მიიჩნევა: ა) ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევაში ჩაბმისთვის ბ) ადამიანის გამოყენება დანაშაულებრივ ან ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმისთვის (გარდა აგრესიული ომისა) გ) პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით პირის გამოყენება დ) ადამიანის გამოყენება მონობის მსგავს მდგომარეობაში ან მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენების მიზნით, რაც გულისხმობს პატივისა და ღირსების შემლახველ პირობებში მუშაობის იძულებას ან პირისთვის საიდენტიფიკაციო დოკუმენტის, თავისუფალი გადაადგილებისა და სხვა უფლებების ჩამორთმევას, ასევე არაადეკვატურ ანაზღაურებას ან არანაირი ანაზღაურების მიცემას. ამავე შენიშვნის თანახმად, პირის თანხმობას წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ აქვს. ამ მუხლის მეორე შენიშვნა აწესებს იურიდიული პირის პასუხისმგებლობას.

26. არასრულწლოვნით ვაჭრობა (143¹ I & II)

ამ დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვნის პიროვნების ხელშეუვალობა, პატივი და ღირსება, მისი უფლება იზრდებოდეს მშობლებთან ერთად, იყოს დაცული ეკონომიკური ექსპლუატაციისა და იმ სამუშაოს შესრულებისგან, რამაც შეიძლება

საფრთხე შეუქმნას ბავშვს, მის ჯანმრთელობას და ნორმალურ განვითარებას. დაზარალებულს წარმოადგენს არასრულწლოვანი, რომელსაც შეუძლია გააცნობიეროს, თუ რა ქმედებას ჩადიან მის მიმართ (თუ არა - ამავე მუხლის მეორე ნაწილი). ობიექტური მხრივ ეს დანაშაული ტრეფიკინგის მსგავსია, თუმცა მისგან განსხვავდება იმით, რომ აქ არ არის სავალდებულო დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იყოს რომელიმე ხერხი. თუ არასრულწლოვნით ვაჭრობის ხერხად გამოყენებულია იძულება, შანტაჟი ან მოტყუება, ქმედება დაკვალიფიცირდება სსკ 143² მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილის შესაბამისი პუნქტებით. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაულიც პირდაპირი განზრახვით ხასიათდება. დამნაშავეს ახასიათებს სპეციალური - ექსპლუატაციის მიზანი. გამონაკლისია არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების არსებობისას. ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო სპეციალური მიზნის არსებობა, რადგან მყიდველი შესაძლოა მხოლოდ მაკავშირებელი როლი იყოს ნამდვილ ექსპლუატატორსა (ან შვილად ამყვანს) და გამყიდველს შორის და არ იცოდეს მყიდველის მიზნის შესახებ. თუ ადგილი აქვს არასრულწლოვნის ყიდვას შვილის აყვანის მიზნით, ქმედება დაკვალიფიცირდება 172-ე მუხლით. დანაშაულის ხერხებში არ არის გათვალისწინებული ის ცვლილებები (მუქარით, იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით და სხვა), რომლებიც კანონმდებელმა 2006 წლის შემდეგ 143¹ მუხლის დისპოზიციაში შემოიღო, რაც კანონმდებლობის ხარვეზად შეიძლება მივიჩნიოთ. ამ მუხლის მეორე ნაწილის 'ბ' პუნქტით დამამძიმებელ გარემოებადაა მიჩნეული იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარ შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ. უმწეო მდგომარეობაში იგულისხმება არამართო ასაკით, არამედ გონებრივი შესაძლებლობებით გამოწვეული უმწეობა. ამგვარ მდგომარეობაში მყოფად ჩაითვლება არასრულწლოვანი, რომელიც მის მიმართ ქმედების განხორციელებისას მოკლებული იყო წინააღმდეგობის გაწევის შესაძლებლობას ან არ შეეძლო ქმედების გაცნობიერება.

27. მძევლად ხელში ჩაგდება (144 I, II ა, გ, ე)

მძევლად ხელში ჩაგდება, იმის მიხედვით, თუ ვინ არის დანაშაულის ადრესატი, ისჯება სსკ 144-ე ან 329-ე მუხლებით. 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს ადამიანის პირადი თავისუფლება და უშისრობა, ასევე მესამე პირთა თავისუფლება და მყუდრო გარემოში ცხოვრება. ფაკულტატურ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის ღირსება, სიცოცხლე და ჯანმრთელობა. მსხვერპლი შეიძლება იყოს ნებისმიერი ადამიანი. ობიექტური მხრივ მძევლად ხელში ჩაგდება ხორციელდება ადამიანის თავისუფლების მართლსაწინააღმდეგო შეზღუდვით, რაც გულისხმობს ფიზიკურ ან ფსიქიკურ ძალადობას, თუმცა შესაძლებელია, არ იქნას გამოყენებული ძალადობა. მძევლად ხელში ჩაგდებულს შეზღუდული აქვს გარე სამყაროსთან კონტაქტი,

თავისუფალი გადაადგილების უფლება. მისი გათავისუფლება დამოკიდებულია იმაზე, შეასრულებენ თუ არა მესამე პირები დამნაშავეს მოთხოვნას. მესამე პირებად არ შეიძლება გამოვიდნენ საერთაშორისო ან რელიგიური ორგანიზაციები, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, რადგან ამ შემთხვევებს 329-ე მუხლი ითვალისწინებს.

მძევლად ხელში ჩაგდება ფორმალური დანაშაულია. მნიშვნელობა არ აქვს მძიმე შედეგის დადგომას ან ულტიმატუმის წაყენების ფაქტს. დანაშაულის კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს დროს, რომლის განმავლობაშიც პირი მძევლადაა ჩაგდებული, თუმცა დროის ხანგრძლივობა (7 დღეზე მეტი) ერთ-ერთი დამამძიმებელი გარემოებაა. ეს დანაშაული დენადია. იგი იწყება ადამიანის მძევლად ხელში ჩაგდების მომენტიდან და უწყვეტად მიედინება. მისი დაწყებიდან შეწყვეტამდე შესაძლებელია როგორც მასში თანაამსრულებლობა, ისე თანამონაწილეობა. დანაშაულის ამსრულებელია ნებისმიერი შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. გარდა ამისა, მას ახასიათებს კონკრეტული მიზანი - მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ ორგანიზაცია ან პირი შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის გარეშეც სახეზე გვაქვს 143-ე მუხლით გათვალისწინებული თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

28. წამება (144¹ I)

წამება, რომელიც იკრძალება მრავალი საერთაშორისო ნორმით, მათ შორის - რომის სტატუტით, აგრეთვე საქართველოს კონსტიტუციით, წარმოადგენს ნოვაციას სს კანონმდებლობაში. წამებისგან დაცვა პირის აბსოლუტური უფლებაა და მისი გამართლება არ შეიძლება რაიმე მიზეზით გარდა იმ შემთხვევისა, როცა ის თავად ამ პირის სიცოცხლის ან ჯანმრთელობის დასაცავადაა მიმართული. დაცვის ობიექტია ადამიანის ჯანმრთელობა როგორც ფიზიკური, ისე - ფსიქიკური თვალსაზრისით. დამატებით ობიექტია ადამიანების თანასწორუფლებიანობა, ასევე საზოგადოებრივი ურთიერთობები. წამების ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედებაში (მოქმედებასა ან უმოქმედობაში), შედეგში (ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა) და მიზეზობრივ კავშირში ქმედებასა და შედეგს შორის. შესაბამისად, წამება მატერიალური დანაშაულია. წამების მსხვერპლი შეიძლება იყოს როგორც ის პირი, ვისგანაც დამნაშავე ცდილობს ინფორმაციის ან აღიარების მიღებას, ასევე - მისი ნათესავი ან მასზე დამოკიდებული პირი. ობიექტურ მხარეში გამოყოფილია 'პირობების შექმნა', რაც გულისხმობს პირისთვის ადამიანური ცხოვრების პირობების მოსპობას და 'მოპყრობა', რაც გულისხმობს უფრო აქტიურ მოქმედებას - ცემა, სხვადასხვა ძალადობა. ორივე შემთხვევაში წამების ობიექტური მხარისთვის აუცილებელია, ქმედება იწვევდეს მძიმე შედეგს თავისი *ხასიათით*, *ინტენსივობით* ან *ხანგრძლივობით*. ქმედების *ხასიათში* იგულისხმება ისეთი შემთხვევა, როდესაც ეს ქმედება ერთჯერადად ჩადენის შემთხვევაშიც იწვევს მძიმე შედეგს

(ფრჩხილის ამოდრობა, ცხელი ორთქლის ნაკადის მიფრქვევა). ინტენსივობა გულისხმობს ძალადობის ხარისხსა და მის უწყვეტობას (თავდაყირა დაკიდება). ქმედების ხანგრძლივობა ითვალისწინებს ისეთ შემთხვევას, როდესაც ქმედება არაა გამორჩეული ხასიათით ან ინტენსივობით, მაგრამ გრძელდება იმდენად დიდხანს, რომ იწვევს მძიმე შედეგს (დაჩოქვა). ნორმით გათვალისწინებულ მძიმე შედეგში მოიაზრება ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ფსიქიკური ან მორალური ტანჯვა. ძლიერ ფიზიკურ ტკივილად უნდა ჩაითვალოს ისეთი ტკივილი, როცა აუცილებელი ხდება ტკივილგამაყუჩებელი წამლის გამოყენება. ფსიქიკური ტანჯვა გულისხმობს შედეგს, რომელიც იწვევს ადამიანის ნერვული სისტემის ისეთ მოშლას, რომ იგი ხანგრძლივი დროის განმავლობაში კარგავს სულიერ სიმშვიდეს და იწვევს სულიერ განცდას (ნევროზი). მორალური ტანჯვა ადამიანში იწვევს ღირსების დაქვეითებას და არასრულფასოვნების კომპლექსს. წამების ამსრულებელია შერაცხადი 14 წელს მიღწეული პირი. სუბიექტური მხრივ წამება განზრახი დანაშაულია. წამების სუბიექტური შემადგენლობისთვის, გარდა განზრახვისა, აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა: ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მიღება, პირის დაშინება ან იძულება, ან პირის დასჯა მისი ან მესამე პირის მიერ ჩადენილი ან სავარაუდოდ ჩადენილი ქმედებისთვის. ინფორმაციის, მტკიცებულების ან აღიარების მომპოვებელი უნდა იყოს საერთო და არა სპეციალური სუბიექტი, რადგან მისი პასუხისმგებლობა 335-ე მუხლით განისაზღვრება. პირის დაშინება განსხვავდება 151-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარისგან კონკრეტიზებული მიზნის არსებობით და მძიმე შედეგის გამოწვევით. პირის იძულება, შეასრულო ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება განსხვავდება იძულების ზოგადი (150-ე) ნორმისგან იმით, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არ დგება შედეგი - ძლიერი ფიზიკური ტკივილი ან მორალური ან ფსიქიკური ტანჯვა. რაც შეეხება პირის დასჯას, აქ მოტივად იკვეთება შურისძიება და ექვიანობა. მესამე პირი შეიძლება იყოს დაზარალებულის ახლობელი.

წამება განსხვავდება ძალადობისგან (126-

ე მუხლი): 1. ძალადობის ჩასადენად აუცილებელია სისტემატური ძალმომრეობითი ქმედების არსებობა 2. წამების დროს ამსრულებელს ახასიათებს სპეციალური მიზანი 3.. წამების დროს შედეგად შეიძლება დადგეს მორალური ტანჯვა 4. წამებას მოჰყვება ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ძალადობას - ფიზიკური ტანჯვა 5. ძალადობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს მხოლოდ ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება, წამება კი შთანთქმავს ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანებასაც.

29. დანაშაულის პროვოკაცია (მ. 145¹)

დანაშაულის პროვოკაცია წარმოადგენს ნოვაციას სისხლის სამართლის კოდექსში. პროვოკაციასა და დანაშაულის წაქეზებას აქვს როგორც საერთო, ისე - განმასხვავებელი ნიშნები. ორივე შემთხვევაში პირი სხვას იყოლიებს კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად.

დაყოლიება შეიძლება მოხდეს რჩევით, მოსყიდვით, მუქარით და ა.შ. წამქეზებელს გამიზნული აქვს სხვა პირს ჩაადენინოს დანაშაული, მაგრამ არ სურს მისი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა. წამქეზებლის მოქმედება დანაშაულის შედეგთან მიზეზობრივ კავშირშია და გააჩნია ამსრულებელთან საერთო მიზანი. პროვოკატორს კი არ სურს დანაშაულის ბოლომდე მიყვანა და სამართლებრივი სიკეთის დაზიანება. მისი მიზანი სამართლებრივი ხელყოფა კი არა, დანაშაულის მომზადების ან მცდელობის სტადიაზევე პირის მხილება და მისი პასუხისმგებლობაში მიცემაა. ამიტომ ასეთი 'წაქეზება' სცილდება თანამონაწილეობის ფარგლებს და იგი ხელყოფს წაქეზებულის პიროვნებას.

შესაძლებელია ნებისმიერი დანაშაულის პროვოკაცია, მთავარია, დაყოლიებული პირი აკმაყოფილებდეს დანაშაულის სუბიექტუარიალობას, რაც გამორიცხავს შუალობით ამსრულებლობას. პროვოკატორის ქმედება კვალიფიცირდება მხოლოდ ამ მუხლით და არა თანამონაწილეობით. პროვოკაცია უნდა ხდებოდეს ფსიქიკაზე აქტიური ზემოქმედებით (ხვეწნა, მუქარა). მხოლოდ წინადადების მიცემა ვერ ჩაითვლება პროვოკაციის ხერხად. დაყოლიებად ასევე არ ჩაითვლება დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნა. დანაშაული დამთავრებულია მაშინვე, როცა პროვოცირებული დაიწყებს დანაშაულის მომზადებას (კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში) ან მცდელობას. თუ პროვოცირებულმა პირმა მოასწრო დანაშაულის ბოლომდე მიყვანა, პროვოკატორი მაინც 145-ე მუხლით ისჯება, რადგან შეუძლებელია იგი ერთდროულად მიზნად ისახავდეს სამართლებრივი სიკეთის ხელყოფასაც და პირის პასუხისმგებლობაში მიცემასაც. პროვოკაციის ამსრულებელია ნებისმიერი ბრალუარიაანი პირი. სუბიექტური მხრივ მისი ჩადენა შესაძლებელია პირდაპირი განზრახვით. აუცილებელია სპეციალური მიზნის არსებობა - პროვოცირებული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში მიცემა, რომლის დადგომასაც კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. ასევე ირელევანტურია დანაშაულის მოტივი.

30. უდანაშაულო პირის განზრახ მიცემა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაში (მ. 146)

ამ დანაშაულის ობიექტია ადამიანის თავისუფლება, პატივი და ღირსება. ფაკულტატურ ობიექტს წარმოადგენს ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა. ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში - უდანაშაულო პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობაში მიცემაში. ბრალის (ბრალდების) წაყენებისათვის საკმარისი საფუძვლის არსებობისას, ანუ როცა გამოძიების სტადიაზე შეკრებილი მტკიცებულებები პირის დამნაშავეობის შესახებ დასაბუთებული ვარაუდისთვის საკმარისია, პროკურორი უფლებამოსილია გამოიტანოს დადგენილება პირის ბრალდების შესახებ. ეს დანაშაული დამთავრებულია სწორედ მაშინ, როდესაც

პროკურორმა უდანაშაულო პირის მიმართ გამოიტანა დადგენილება მისი ბრალდების შესახებ. რადგან ბრალდების შესახებ დადგენილების გამოტანა მხოლოდ პროკურორს შეუძლია, ამ დანაშაულის ამსრულებელი მხოლოდ პროკურორია, დაზარალებული კი იურიდიული თვალსაზრისით უდანაშაულო პირი, ანუ ის, ვის მიმართაც გამოძიების სტადიაზე არაა შეკრებილი მტკიცებულებათა საკმარისი ერთობლიობა. შესაბამისად, ეს დანაშაული წარმოადგენს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების კონკრეტულ შემთხვევას. თუ პროკურორი პირადი მოტივით პასუხისმგებლობას უმძიმებს პირს (ქურდობა >> ყაჩაღობა), ან უკანონოდ აძლევს სს პასუხისმგებლობაში (ამნისტიის ან ხანდაზმულობის არსებობის გამო), მაშინ სახეზე გვაქვს სამოხელეო დანაშაული. თუ უდანაშაულო პირის განზრახ მიცემას სს პასუხისმგებლობაში ერთვის პირის უკანონო დაპატიმრება, ქმედება კვალიფიცირდება 146-ე და 147-ე მუხლების ერთობლიობით. ასევე ერთობლიობით კვალიფიცირდება შემთხვევა, როცა პროკურორი ხელოვნურად ქმნის მტკიცებულებებს (146 + 335 ან 341). სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული მხოლოდ განზრახია. პროკურორს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ პირის მიმართ არ მოიპოვება საკმარისი მტკიცებულება. დანაშაულის მოტივს მნიშვნელობა არ აქვს. დამამძიმებელ გარემოებებს წარმოადგენს იგივე ქმედება, თუ ბრალდება ეხება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს.

31. განზრახ უკანონო დაკავება ან დაპატიმრება (მ. 147)

დანაშაულის ობიექტია კონსტიტუციით დაცული ადამიანის თავისუფლების ხელშეუვალობა. კონსტიტუციის მე-18 მუხლის თანახმად, დაუშვებელია თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება ქმედებაში - უკანონო დაკავებასა ან დაპატიმრებაში მის მიერ, ვისაც აქვს პირის დაკავების დაპატიმრების ან მისი გათავისუფლების უფლება. სს კოდექსის 170-ე მუხლის თანახმად დაკავება წარმოადგენს თავისუფლების ხანმოკლე აღკვეთას, პირი დაკავებულად ითვლება მიმოსვლის თავისუფლების შეზღუდვის მომენტიდან, რომლის შემდეგაც პირი ითვლება ბრალდებულად. იგი შეიძლება განხორციელდეს სასამართლოს განჩინებით ან მის გარეშე. დაკავებულს უფლება აქვს გამოძიების ჩატარების უფლებამოსილების მქონე ორგანოს თანამშრომელს, რომელიც ასრულებს ოპერატიულ, სამძებრო ან სხვა ფუნქციებს. დაკავების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, დაკავებიდან არაუგვიანეს 48 საათში დაკავებულს უნდა გადაეცეს ბრალდების შესახებ დადგენილება, მოსამართლეს კი წარედგინოს შუამდგომლობა აღკვეთის ღონისძიების გამოყენების შესახებ. ამ მოთხოვნათა დარღვევით პირის დაკავება უკანონოა. დანაშაული დამთავრებულია ამ ქმედებათაგან ერთ-ერთის ჩადენისთანავე. უკანონო დაკავებად არ ჩაითვლება დაკავებულის უფლების სხვაგვარი დარღვევა (დამცველის აყვანის შესაძლებლობის მიუცემლობა), რაც სამოხელეო

დანაშაულს წარმოადგენს. უკანონო დაკავებას წარმოადგენს დაკავებისგან გათავისუფლებული პირის ხელმოწერად დაკავება იმავე ბრალდებით. უკანონო დაკავება განსხვავდება თავისუფლების უკანონო აღკვეთისგან იმით, რომ აქ სპეციალური ამსრულებელი ბოროტად იყენებს სამსახურებრივ უფლებამოსილებას. ისევე, როგორც დამნაშავის შეპყრობისთვის აუცილებელი ზომების გადაცილებისას, უკანონო დაკავების დროსაც შესაძლებელია პირის მიზანი იყოს დამნაშავის წარდგენა სამართალდამცავ ორგანოში, თუმცა უკანონო დაკავებისას ადგილი არ აქვს პირის დაზიანებას, ამასთან, დაკავებული პირი ან საერთოდ არ ექვემდებარება დაკავებას, ან გადაცილებულია დაკავებისთვის დადგენილი დრო, ამასთან მისი სუბიექტი ყოველთვის სპეციალურია.

147-ე მუხლის მე-2 ნაწილით მძიმდება პასუხისმგებლობა უკანონო დაპატიმრებისთვის. პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება, გამოიყენება ბრალდებულის მიერ მიმალვის, მტკიცებულებათა მოპოვებისთვის ხელის შეშლის, ან ახალი დანაშაულის ჩადენის აღსაკვეთად. სასამართლო სხდომამდე პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს დაკავებიდან 60 დღეს, პატიმრობის ვადა კი - 9 თვეს. ამ ვადის შემდეგ ის უნდა გათავისუფლდეს პატიმრობიდან. პირის დაპატიმრება უკანონოდ ჩაითვლება, როცა იგი ეწინააღმდეგება კონსტიტუციას ან საპროცესო ნორმებს. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს პოლიციელი, გამომძიებელი, პროკურორი, ციხის უფროსი და მოსამართლეც, როდესაც მას კანონიერი საფუძვლის გარეშე გამოაქვს განჩინება პირის დაპატიმრების შესახებ. სუბიექტური მხრივ ეს დანაშაული განზრახია, პირს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ მისი ქმედება ეწინააღმდეგება კანონს. მოტივსა და მიზანს ქმედების კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს. მაკვალიფიცირებელ ქმედებას წარმოადგენს თანამდევი შედეგი - პირის სიკვდილი, ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება, ოჯახის დანგრევა და ა.შ. სიკვდილის მიმართ სახეზე უნდა იყოს გაუფრთხილებლობა, სხვა მძიმე შედეგების მიმართ შესაძლებელია განზრახვის არსებობაც.

32. იძულება (მ. 150)

150-ე მუხლი წარმოადგენს იძულების ზოგად ნორმას. ამ დანაშაულის ობიექტს წარმოადგენს პირის კონსტიტუციური თავისუფლება, იმოქმედოს საკუთარი შეხედულებისამებრ. ობიექტური მხრივ იძულება გამოიხატება პირის თავისუფლების უკანონო შეზღუდვაში - ფიზიკურ ან ფსიქიკურ იძულებაში, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო მოქმედება. ადამიანისათვის თავისუფლების შეზღუდვა უკანონო არაა, როდესაც საქმე გვაქვს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ რომელიმე გარემოებასთან. იძულების ობიექტური მხარე ვლინდება პირის მხოლოდ *ფიზიკურ* ან *ფსიქიკურ* იძულებაში (მოტყუება ან მატერიალური მდგომარეობის გამოყენება დისპოზიციაში არ შედის). პირის

ფიზიკური იძულება გულისხმობს ცემას, გათოკვას, საგნის წართმევას. თუ მას შედეგად ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე, მძიმე დაზიანება ან სიკვდილი მოჰყვა, სახეზეა ერთობლიობა. თუ იძულების ხერხს წარმოადგენს თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ქმედება დაკვალიფიცირდება 143-ე მუხლით. ფსიქიკური იძულება იგივე მუქარაა, რომელიც შეიძლება იყოს ნებისმიერი სახის (მოკვლის, ცემის, გაუპატიურების), რითიც იგი განსხვავდება 151-ე მუხლისგან. მუქარა შეიძლება მიმართული იყოს პირის ახლობლის მიმართაც, ვისი ბედითაც პირი დაინტერესებულია. თუ პირს აიძულებენ, გამოსცადოს გამაბრუებელი პრეპარატის ან ჰიპნოზის ზემოქმედება, ქმედება კვალიფიცირდება 272-ე ან 171-ე მუხლით ან 335-ე მუხლით (თუ ამსრულებელი მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირია). გამორიცხულია 150-ე მუხლით პასუხისგება, თუ პირს აიძულებენ ისეთი ქმედების ჩადენას, რაც მას კანონით უნდა შეესრულებინა. თუმცა ამ მუხლით კვალიფიკაციისთვის აუცილებელი არ არის, რომ ქმედება, რის ჩადენასაც პირს აიძულებენ, იკრძალებოდეს სამართლის ან მორალის ნორმით (ქუჩაში სიმღერა). თუ პირს აიძულებენ ჩაიდინოს დანაშაული, მაშინ სახეზეა წაქეზება. დანაშაული დამთავრებულია იძულების მომენტიდან მიუხედავად იმისა, შესრულდა თუ არა ქმედება. თუ იძულება სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილია, უპირატესობა იმ ნორმას ენიჭება, რომელიც მთელ დანაშაულს ითვალისწინებს. იძულების ამსრულებელია ნებისმიერი ბრალუნარიანი პირი. სუბიექტური მხარე მოითხოვს პირდაპირ განზრახვას. იძულების მიზანია სხვა პირს ჩაადენინოს რაიმე ქმედება. მაკვალიფიცირებელ გარემოებას წარმოადგენს იძულება, განხორციელებული არასრულწლოვნის მიმართ.

33. მუქარა (მ. 151)

მუქარის ობიექტია ადამიანის ფსიქიკური ხელშეუხებლობა, მისი სიმშვიდე და მყუდრო გარემოში ცხოვრების უფლება. აქ პირი კონკრეტულ ადამიანს ემუქრება კონკრეტული ძალადობითი ქმედებით და მუქარა ისეთი ფორმითაა გამოხატული, რომ ჩჩნდება მუქარის განხორციელების საფუძვლიანი შიში. ობიექტური მხრივ მუქარა გამოიხატება მოქმედებაში, რაც შეიძლება განხორციელდეს პირისპირ ან სხვა პირის მეშვეობით, დაზარალებულის ახლობლებისთვის გაცხადებით, წერილის მიწერით და ა.შ. მუქარა უნდა გულისხმობდეს სიცოცხლის მოსპობას, ჯანმრთელობის დაზიანებას ან ქონების განადგურებას. დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელია, მუქარის ადრესატს გაუჩნდეს მისი განხორციელების საფუძვლიანი შიში. არაა აუცილებელი მუქარა იყოს რეალური, მთავარია მსხვერპლის მიერ მისი სუბიექტური აღქმის ხარისხი. მსხვერპლის შიშის საფუძვლიანობის დასადგენად სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კრიტერიუმებით, ანუ შეეძლო თუ არა მუქარას საშუალო ადამიანში გამოეწვია მსგავსი ემოცია. მხედველობაში მიიღება დამმუქრებლის პიროვნება, პირთა ურთიერთდამოკიდებულება, არაერთგზისობა და ა.შ. მუქარის

ადრესატად შეიძლება ჩაითვალოს არა მხოლოდ ეს პირი, არამედ მისი მშობლები ან წარმომადგენლებიც. დანაშაული დამთავრებულია მაშინვე, როცა პირს გაუჩნდა მისი განხორციელების შიში. თუ მუქარა სხვა დანაშაულის შემადგენელი ნაწილია, იგი შთაინთქმება. მუქარა განსხვავდება იძულებისგან: 1. მუქარა არაა იძულების ერთადერთი ხერხი 2. იძულების დროს პირს გააჩნია სპეციალური მიზანი 3. 151-ე მუხლით გათვალისწინებული მუქარის შინაარსი შეზღუდულია. მუქარის ამსრულებელია ნებისმიერი ბრალუხარიანი პირი. კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არ აქვს, პირს გამიზნული ჰქონდა თუ არა მუქარის ასრულება, თუმცა თუ მუქარა დანაშაულის მომზადებაში გადაიზარდა, ქმედება ამ მუხლით აღარ კვალიფიცირდება. მუქარისთვის პასუხისმგებლობის გამომრიცხველ გარემოებას წარმოადგენს ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა.

34. არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება შვილად აყვანის მიზნით (მ. 172)

ამ დანაშაულის ობიექტია არასრულწლოვნის ხელშეუხებლობა, ნორმალური აღზრდისა და განვითარების პირობების საკუთარ ოჯახში რეალიზების უფლება. არასრულწლოვნის შვილად აყვანა დაშვებულია საქართველოს კანონმდებლობით, თუმცა თუ შვილად აყვანა ხდება კანონის წესების დარღვევით, არასრულწლოვანი ხდება ყიდვა-გაყიდვის ან სხვა უკანონო გარიგების ობიექტი. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მოქმედებაში - არასრულწლოვნის ყიდვაში ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებაში. არასრულწლოვნის ყიდვა გულისხმობს მის შეძენას ფასის გადახდით, ნივთში ან ვალში გაცვლით და ა.შ. ყიდვად არ მოიაზრება არასრულწლოვნის გაჩუქება (თუნდაც მას მოყვეს მადლიერების ნიშნით გარკვეული თანხის გადაცემა მყიდველის მიერ). სხვა უკანონო გარიგებაში იგულისხმება მყიდველის დაპირება არასრულწლოვნის გამყიდველისათვის სასარგებლო მოქმედების განხორციელებაზე (საზღვარგარეთ გამგზავრება). დანაშაული დამთავრებულია მაშინ, როცა პირი იყიდის არასრულწლოვანს ან გაყიდის მას, განახორციელებს მის მიმართ უკანონო გარიგებას და არასრულწლოვანი გადავა მის მფლობელობაში, იმის მიუხედავად, შვილად აყვანა გაფორმებულია თუ არა. დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს შვილად აყვანისთვის კანონით დადგენილ ასაკს მიღწეული შერაცხადი პირი მოქალაქეობის მიუხედავად. ამავე მუხლის მეორე ნაწილი გულისხმობს არასრულწლოვნის გაყიდვას ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას, რისი კრიმინალიზაციაც მართებულად მოხდა 2009 წლის ცვლილებით. ამ დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი. სუბიექტური მხარე მოითხოვს პირდაპირი განზრახვის არსებობას და სპეციალურ მიზანს, რაც გულისხმობს არასრულწლოვნის შვილად აყვანას. თუ სპეციალურ მიზნად გვევლინება ექსპლუატაცია, ან თუ პირი არასრულწლოვანს

ყიდულობს, რათა სხვა პირს მიჰყიდოს შვილად აყვანის მიზნით, ქმედება კვალიფიცირდება 143² მუხლით. თუმცა თუ პირი ყიდულობს არასრულწლოვანს და იხდის თანხას, რომელიც მომავალმა მშვილებელმა წინასწარ გადასცა, ქმედება კვალიფიცირდება ამავე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში დახმარებად (25, 171).

35. გენოციდი (მ. 407)

გენოციდის (gens გვარი cedere მოკვლა) საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება გენოციდის დანაშაულის შემადგენლობაში მითითებულ ქმედებათა შედეგად განსაზღვრული ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობაში ან მისი საფრთხის შექმნაში. გენოციდი იკრძალება გაეროს 1948 წლის კონვენციით, რომის სტატუტით და სხვა საერთაშორისო აქტებით. სსკ 407-ე მუხლის თანახმად გენოციდის ობიექტია კაცობრიობის მშვიდობისა და ადამიანურობის საფუძვლები, ანუ ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის უსაფრთხოების საერთაშორისო დაცვის უზრუნველყოფის ინტერესი. დაზარალებულად გამოდის არა ცალკეული ადამიანი, არამედ მთლიანად ადამიანთა ჯგუფი. ობიექტური მხრივ გენოციდი გულისხმობს შეთანხმებული გეგმის მიხედვით ჩადენილ ქმედებას, მიმართულს სათანადო ჯგუფის და შობადობის სტადიაზე მათი შთამომავლობის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობისკენ. აუცილებელი არაა მიზანი მიღწეული იქნეს, თუმცა მძიმე შედეგის დადგომა ამძიმებს სანქციას. გენოციდის ხერხებია: ა) ჯგუფის მკვლელობა ბ) ჯანმრთელობის მძიმე დაზიანება (მათ შორის სულიერი დაავადებაც), გ) ცხოვრების მძიმე პირობების განზრახ შექმნა მათი მოსპობის მიზნით (ეკონომიკური ბლოკადა, ეკოსისტემის დაზიანება), დ) შობადობის ძალით შემცირება (გენური ინჟინერიის, იძულებითი სტერილიზაციისა და სხვა გზით), ასევე სახელმწიფოს მიერ ისეთი ნორმატიული აქტების გამოცემა, რომლებიც სასჯელის გამოყენების მუქარით უკრძალავენ ამ ჯგუფის მოქალაქეებს შვილის ყოლას ან უზღუდავენ ბავშვების რაოდენობას ე) ბავშვის იძულებითი გადაცემა ერთი ეთნიკური ჯგუფიდან მეორეში. გენოციდი დამთავრებულია კანონით აკრძალული მოქმედების ჩადენის მომენტიდან, თუნდაც მისი მიზანი ვერ განხორციელდეს. მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის რაოდენობა უნდა იყოს მნიშვნელოვანი. სუბიექტური შემადგენლობა მოითხოვს პირდაპირი განზრახვის არსებობას. კონკრეტიზებული ზიანის მიმართ კი არსებობს არაკონკრეტიზებული განზრახვა. გენოციდის სპეციალური მიზანია გარკვეული ნიშნით გაერთიანებული ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსპობა, რაც განსხვავდება სამხედრო ოპერაციაში აკრძალული იარაღის გამოყენების ან ადამიანის წინააღმდეგ მიმართული რომელიმე დანაშაულისგან (მკვლელობა). გენოციდის ამსრულებელია ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი ფიზიკური პირი.

36. დაქირავებულის მონაწილეობა შეიარაღებულ კონფლიქტში (მ. 410)

დაქირავებულ პირთა მონაწილეობა შეიარაღებულ ომებში შუა საუკუნეების შემდეგ განსაკუთრებით გახშირდა მე-20 საუკუნეში, ლოკალური ომების ზრდასთან ერთად. ამ დანაშაულს გააჩნია საერთაშორისო ხასიათი და კრიმინალად არის გამოცხადებული გაეროს უამრავი რეზოლუციითა და გადაწყვეტილებით. ამ დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება გამოიხატება ადამიანთა გარკვეული ჯგუფისთვის საარსებო წყაროდ შეიარაღებულ კონფლიქტებსა და საომარ მოქმედებაში მონაწილეობა, რაც ამორალურია და იწვევს პირთა ჯგუფის ჩამოყალიბებას, რომელთა პროფესიაც მკვლელობა და ქონების მიტაცებაა. სსკ 410-ე მუხლის დაცვის ობიექტია საერთაშორისო ურთიერთობა სხვა სახელმწიფოს რეგულარული შეიარაღებული ძალების გამოყენების სფეროში. დანაშაული ხასიათდება ალტერნატიული ობიექტური ნიშნებით: *დაქირავებულ პირთა შეროვნება, მათი გაწვრთნა, დაქირავებულის დაფინანსება და მისი გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტსა ან სამხედრო მოქმედებაში. დაქირავებულ პირთა შეროვნებაში* იგულისხმება დასაქირავებელი პირების კანდიდატების მოძებნა, აგიტაცია, მათზე ზემოქმედება, ხელშეკრულების გაფორმება. *გაწვრთნაში* იგულისხმება დაქირავებული პირის მიმართ მოსამზადებელი საქმიანობის განხორციელება შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილეობის მისაღებად იარაღისა და სხვა აღჭურვილობის ეფექტიანად გამოყენების მიზნით. *დაქირავებულ პირთა დაფინანსება* გულისხმობს მათ გაწვრთნისა და შეიარაღებულ კონფლიქტსა თუ სამხედრო მოქმედებაში გამოყენებისთვის მატერიალური ბაზის შექმნა და დაქირავებულის მატერიალური უზრუნველყოფა (ფულადი ანაზღაურება), რაც რეგულარული არმიის ჯარისკაცის ანაზღაურებაზე ბევრად მაღალია. *შეიარაღებულ კონფლიქტსა და საომარ მოქმედებაში დაქირავებულის გამოყენება* გულისხმობს მის უშუალო მონაწილეობას საბრძოლო მოქმედებაში ან სამხედრო აქციაში როგორც საომარი მოქმედების რაიონში, ისე - მის გარეთ. მაროდორობა, ანუ საომარი მოქმედების დროს მოკლულის, დაჭრილის ან მოქალაქეთა სხვა ქონების დაუფლება, არ ქმნის ამ მუხლის შემადგენლობას და დამოუკიდებელი დანაშაულია. ეს დანაშაული დამთავრებულია ნებისმიერი ამ ქმედების განხორციელებისთანავე. იგი შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით, მისი სუბიექტია ნებისმიერი 14 წელს მიღწეული შერაცხადი პირი.

410-ე მუხლს ახლავს დამამძიმებელი გარემოებები, როგორიცაა იმავე ქმედების ჩადენა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. სამსახურებრივი მდგომარეობა ფართოდ უნდა გავიგოთ - როგორც თანამდებობრივ, ისე სხვა სახის ავტორიტეტად. პასუხისმგებლობას ასევე ამძიმებს არასრულწლოვანი პირის დაქირავება. 410-ე მუხლის მესამე ნაწილი ითვალისწინებს დამოუკიდებელი დანაშაულის შემადგენლობას - დაქირავებულის მონაწილეობას შეიარაღებულ კონფლიქტში, ანუ დაქირავებული აქ დანაშაულის სუბიექტად გვევლინება. ამ დანაშაულის ობიექტური მხარე მოიცავს დაქირავებულის უშუალო მონაწილეობას საომარ აქციებსა თუ ოპერაციებში. დანაშაული

დამთავრებულია საომარი ოპერაციის დაწყების მომენტიდან. იგი შეიძლება ჩადენილ იქნას მხოლოდ პირდაპირი განზრახვით. დანაშაულის ჩადენის მოტივი ანგარებითია. ამ მუხლს ახლავს შენიშვნა, სადაც მოცემულია დაქირავებული პირის ამომწურავი ცნება. დაქირავებულად ითლება ის, ვინც არ არის შეიარაღებულ კონფლიქტში ან საომარ მოქმედებაში მონაწილე სახელმწიფოს მოქალაქე და მოქმედებს მატერიალური გასამრჯელოსთვის, მუდმივად არ ცხოვრობს ამ სახელმწიფოს ტერიტორიაზე და არ არის გაგზავნილი ოფიციალური მოვალეობის შესასრულებლად (სამხედრო ინსტრუქტორი, ჟურნალისტი და ა.შ).